შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბათუმის აეროპორტი“

შინაარსი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება....7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება....8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები....9-33

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ....9
2. მომზადების საფუძველი....9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები....9
4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა....21
5. მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება....22
6. შემოსავალი....23
7. საოპერაციო ხარჯები....23
8. ძირითადი საშუალებები....24
9. საინვესტიციო ქონება....25
10. სავაჭრო მოთხოვნები....25
11. ფული და ფულის ეკვივალენტები....26
12. კაპიტალი....26
13. სავაჭრო ვალდებულებები....26
14. მიღებული ავანსები....26
15. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები....27
16. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხი....27
17. პირობითი ვალდებულებები....28
18. გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან....29
19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა....30
20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ....33

მენეჯმენტის რეპორტი....34-46

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბათუმის აეროპორტის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებებს ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 16 ოქტომბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

_____

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბათუმის აეროპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საარღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *”აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი’ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებისა ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო, ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში არსებითი შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი ამ პასუხისმგებლობებზე დაყრდნობით.

მმართველობის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამავე კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გამოკითხვებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და მოხსენებული ინფორმაციის შედარებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, აგრეთვე გადაანგარიშებებით, შედარებებითა და რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

შოთა ნანიტაშვილი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2023 წლის 16 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2022	2021 (გადაანგარიშებული)*
შემოსავალი	6	35,569	31,369
საოპერაციო ხარჯები	7	(5,767)	(5,398)
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(5,438)	(3,298)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,424)	(8,031)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		**13,940**	**14,642**
საპროცენტო შემოსავალი	11	237	269
საპროცენტო ხარჯი	15, 16	(482)	(1,313)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(875)	925
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**12,820**	**14,523**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**12,820**	**14,523**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**12,820**	**14,523**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და კომპანიის მენეჯმენტის სახელით ხელი მოეწერა 2023 წლის 16 ოქტომბერს:

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021 (გადაანგარიშებული)*	31 დეკემბერი, 2020 (გადაანგარიშებული)*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	46,322	53,452	55,723
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		-	-	74
საინვესტიციო ქონება	9	497	497	497
აქტივის გამოყენების უფლება	15	2,555	3,109	3,663
არამატერიალური აქტივები		191	4	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		**49,565**	**57,062**	**59,963**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		609	554	419
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,634	2,377	701
გადახდილი ავანსები		166	182	187
სხვა აქტივები		-	-	791
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	10,610	6,827	2,361
სულ მიმდინარე აქტივები		**14,019**	**9,940**	**4,459**
სულ აქტივები		**63,584**	**67,002**	**64,422**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	848	848	848
გაუნაწილებელი მოგება	12	57,629	55,913	41,390
სულ კაპიტალი		**58,477**	**56,761**	**42,238**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	15	2,362	2,924	3,441
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	16	-	4,744	9,870
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,362**	**7,668**	**13,311**
მიმდინარე ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	15	562	517	477
სავაჭრო ვალდებულებები	13	1,724	1,566	8,337
მიღებული ავანსები	14	75	68	59
სხვა ვალდებულებები		384	422	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,745**	**2,573**	**8,873**
სულ ვალდებულებები		**5,107**	**10,241**	**22,184**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**63,584**	**67,002**	**64,422**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ბათუმის აეროპორტი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (წინა შეფასებით)	**848**	**41,528**	**42,376**
კორექტირების ეფექტი		(138)	(138)
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	**848**	**41,390**	**42,238**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)*	–	14,523	14,523
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	**848**	**55,913**	**56,761**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	12,820	12,820
დივიდენდები		(11,104)	(11,104)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**848**	**57,629**	**58,477**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ბათუმის აეროპორტი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2022	2021 (გადაანგარიშებული)*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**12,820**	**14,523**
არაფულადი კორექტირება დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		10,424	8,031
ჩამოწერილი ინვენტარის ხარჯი		110	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი		271	300
საკურსო სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა		875	(925)
საპროცენტო ხარჯი	15, 16	481	1,313
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე	11	(237)	(269)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**24,744**	**22,973**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(226)	(135)
(ზრდა)/კლება სავაჭრო მოთხოვნებში		(903)	(2,040)
(ზრდა)/კლება სხვა აქტივებში		-	774
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში		16	79
ზრდა/(კლება) სავაჭრო გადასახდელებში		269	(6,771)
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში		7	9
ზრდა/(კლება) სხვა ვალდებულებებში		(38)	440
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		**(875)**	**(7,644)**
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**23,869**	**15,329**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	11	237	269
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(2,632)	(5,203)
არამატერიალური ძირითადი საშუალებების შეძენა		(114)	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,509)**	**(4,934)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(11,104)	-
დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხის დაფარვა	16	(4,555)	(14,174)
შემოსავალი დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხიდან	16	-	9,385
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, პროცენტი	15	(351)	(405)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, ძირი	15	(517)	(477)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(16,527)**	**(5,671)**
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,050)	(258)
წლის ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა, წმინდა		**3,783**	**4,466**
ფულისა და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	6,827	2,361
ფულისა და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	**10,610**	**6,827**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2000 წლის 15 ივნისს. „კომპანია“ რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 220. კომპანიის 100% წილის მფლობელია სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2007 წლის 9 აგვისტოს სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ (შემდგომში „ტავ ბათუმი“) შორის გაფორმებული წილის მართვის ხელშეკრულების თანახმად, და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ივლისის № 377 განკარგულებით განისაზღვრა „კომპანიის“ 100% წილის 20 წლის მართვის უფლების გადაცემა შპს „ტავ ბათუმისთვის“. ხელშეკრულების თანახმად „ტავ ბათუმს“ აქვს უფლება მიიღოს „კომპანიის“ მიერ გაცემული საოპერაციო შემოსავლებისგან მიღებული დივიდენდები.

„კომპანია“ ეწევა შემდეგ საქმიანობას: საავიაციო მომსახურება, სახმელეთო მომსახურება, საპერონე მომსახურება, ავტოსადგომის მომსახურება, კონცესიის შემოსავალი, ფართის განაწილება, და სხვ.

„ტავ ბათუმის” მფლობელობის სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთია:

	2022	2021
TAV Havalimanlari Holding A.S.	76.00%	76.00%
Aeroser International Holding (U.K.) Limited	24.00%	24.00%
სულ	**100.00%**	**100.00%**

„ტავ ბათუმის” საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Aéroports de Paris.

2. მომზადების საფუძველი

„კომპანიის” წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში. ყველა თანხა, თუ სხვაგვარად არაა მითითებული, დამრგვალებულია უახლოეს მეათასედამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულს ან ფულის ეკვივალენტს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.
ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოური ვალუტები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაცაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

შემოსავალი და სხვა შემოსავალი

(i) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიაში“ ეკონომიკური სარგებელის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის ხდება ფულადი სახსრების მიღება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. „კომპანიამ“ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის ყველა შეთანხმებაში იგი პრინციპალად გამოდის. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს ქვემოთ აღწერილი აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

შემოსავლების ტიპების უმრავლესობის აღიარება ხდება კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. „კომპანიას“ ძირითადად შემოსავლის შემდეგი ტიპები აქვს (მე-6 შენიშვნა):

ავიამომსახურების შემოსავალი და სახმელეთო მომსახურება

ავიამომსახურებიდან შემოსავლის და სახმელეთო მომსახურების აღიარება ხდება დაკავშირებული ავიაკომპანიების ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე, რომლებშიც ასახულია კლიენტების მიერ გადახდილი სატერმინალო მომსახურების ღირებულება, ასევე თვითმფრინავის მიერ გამოყენებული ტრაპისა და ავიაკომპანიების მიერ გამოყენებული მგზავრთა რეგისტრაციის პუნქტის შესახებ ინფორმაცია. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან აღიარდება დროის განმავლობაში. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გავლით და „კომპანია“ ყოველთვიურად აღიარებს შემოსავალს აეროპორტის განაწილებულ ტერიტორიებზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ინვოისების გაცემისთანავე. შემოსავალი ფართობის განაწილებიდან წარმოადგენს შემოსავალს საოპერაციო იჯარიდან და აღირიცხება

იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. განაწილების მეთოდი ყველაზე უკეთ ასახავს კონტრაგენტის მიერ ფართობის რეალურ გამოყენებას.

შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან და საკონცესიო მოსაკრებლიდან

შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან და საკონცესიო მოსაკრებლით მიღებული შემოსავალი დაუბეგრავი მაღაზიებიდან და საკვები სივრცეებიდან აღიარებას ექვემდებარება დროის განმავლობაში. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გასვლის კვალდაკვალ და „კომპანია“ შემოსავალს აღარებს ყოველთვიურ ჭრილში მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ინვოისების გაცემისთანავე. ლაუნჯის მომსახურებისა და საკონცესიო მოსაკრებელი წარმოადგენს დადგენილი ფართობის დათმობით მიღებულ საკომისიო შემოსავალს. შემოსავალი მიიღება კონტრაქტით განსაზღვრულ, წინასწარ შეთანხმებულ საკომისიო განაკვეთზე კონცესიების ყოველთვიური გაყიდვების მოცულობის საფუძველზე.

შემოსავალი პარკირების ოპერაციებიდან

ავტოსადგომის და სხვა დამატებითი მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება კონკრეტულ მომენტში, სახმელეთო მომსახურების პერსონალისგან და ავიაკომპანიებისგან მიღებული ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გამოყენების (დაშვება და აფრენა), ავტოსადგომის, საპერონე, ტაქსისა და თვითმფრინავების მიერ მოხმარებული სხვა მომსახურების შესახებ. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

(ii) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება საპროცენტო შემოსავალში და სხვა ფინანსურ შემოსავალში.

გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. „კომპანიის“ მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც მოთხოვნები და გადასახდელები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის მოთხოვნებისა და გადასახდელების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადს და აქტივის დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანის, ასევე ბათუმის აეროპორტის განვითარებისა და გაუმჯობესების პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება საიჯარო ქონების გაუმჯობესების სახით ძირითადი საშუალებების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის ნაწილის ცვეთის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის წრფივი მეთოდით მისი სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე, ან კონცესიის ხელშეკრულების ვადაზე, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა ცალკე ირიცხება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	5-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-15 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-20 წელი

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარების შემდგომ, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს სტანდარტის ბასს 16 *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარების შემდგომ, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს სტანდარტის ბასს 16 *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონების მუხლიდან გადატანა ან ამ მუხლში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის პირობითი ღირებულება არის საბალანსო ღირებულება ექსპლუატაციაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, „კომპანია“ ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად ექსპლუატაციაში ცვლილების თარიღამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. „კომპანია“ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც „კომპანიამ“ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება სტანდარტით ფასს 15 მიხედვით განსაზღვრული გარიგების ფასით.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე.
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

„კომპანია“ ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს-მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

„კომპანიამ“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. „კომპანია“ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, „კომპანია“ ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მნიშვნელოვან კლიენტებთან კომპანია ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს და ანარიცხების მატრიცით, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, „კომპანიამ“ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ „კომპანია“ სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ ფლობს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებსა და სხვა აქტივებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების გაუქმება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- „კომპანიამ“ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და (ა) „კომპანიამ“ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; ან (ბ) „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ „კომპანიამ“ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, „კომპანია“ აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში „კომპანია“ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება „კომპანიის“ მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა „კომპანიას“ დასჭირდეს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, აღებული სესხები, გადასახდელები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და აღებული სესხებისა და გადასახდელების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო გადასახდელებს, სხვა ვალდებულებებსა და სხვა გრძელვადიან გადასახდელებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის სურვილი, ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

(iv) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

„კომპანია“ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

„კომპანია“ იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტი დგინდება კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, „კომპანიამ“ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, „კომპანია“ აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია“ გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება „კომპანიის“ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, მოიცავს პერიოდს 2027 წლამდე, ანუ კონცესიის ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღამდე.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფული და ფული ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

იჯარა

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს „კომპანია“ აფასებს, წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა ის იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა ის კონკრეტულ აქტივებზე, „კომპანია“ იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება. ამდენად, „კომპანიამ“არჩია ფასს 16-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა. „კომპანია“ მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს გამარტივებული მეთოდით აღრიცხავს.

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება, იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.
„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

„კომპანია“ აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით. აქტივის გამოყენების უფლების თავდაპირველი შეფასება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- იჯარის დაწყების თარიღით ან ამ თარიღამდე (იჯარის წინასწარ გადახდა) შესრულებულ საიჯარო გადახდებს გამოკლებული მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წამახალისებელი გადახდები;
- მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, განკარგვასთან და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში გაუფასურება ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა თანხვედრაშია ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადებთან. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება ცვეთას.

იჯარის დაწყების თარიღისთვის „კომპანია“ აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები მოიცავს შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასს, რაზედაც არსებობს კომპანიის მიერ შესყიდვის გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილ ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზაციას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად „კომპანია“ იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის პარალელურად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

წინა წლის კორექტირებები

2022 წელს, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ინფორმაცია არ იყო სათანადოდ წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 8-ის“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება დაკორექტირებულია შემდეგნაირად:

1. **იჯარის ხელშეკრულების გადაანგარიშება:** ფასს 16 მოითხოვს , რომ მოიჯარემ იჯარის ვალდებულებების შეფასებაში შეიტანოს არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდები, რადგან ისინი გარდაუვალია და ეკონომიკურად არ განსხვავდება ფიქსირებული საიჯარო გადასახდელებისგან. კომპანია იჯარით გასცემს მიწებს, ტერმინალის შენობას და სხვა ქონებას. ანაზღაურება, გარდა ფიქსირებული იჯარის ხარჯისა, ასევე მოიცავს ისეთ ნაწილს, რომელიც გამოითვლება კომპანიის საქმიანობის შედეგის მიხედვით, თუმცა, ის შეიცავს მინიმალურ წლიურ გადასახადს. ხელმძღვანელობამ განიხილა ეს გადასახადი, როგორც ცვლადი საიჯარო ხარჯი, რომელიც მიბმულია საიჯარო აქტივის მომავალი საქმიანობის შედეგებთან და აღიარა ის, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, რაც არის გადახრა ფასს 16-დან. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ეს საკომისიოები შეცდომით გამოირიცხა საიჯარო გადახდებიდან, რამაც გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების არასწორი გაანგარიშება.

2. **ძირითადი საშუალებების ცვეთის გადაანგარიშება**: 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა, იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება, ავეჯი და აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წლის აპრილში, ამორტიზირდებოდა იმაზე მეტი პერიოდით, ვიდრე საიჯარო ხელშეკრულების ვადაა. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-სთან დადებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია დაუბრუნოს ყველა აქტივი (მათ შორის, ნებისმიერი გაუმჯობესება და დამატება) უსასყიდლოდ, 2027 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით. ვინაიდან შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ მიღებული ყველა პოტენციური ეკონომიკური სარგებელი არის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, ზემოხსენებული ძირითადი საშუალებები უნდა იყოს გაცვეთილი 2027 წლამდე. ეს შეცდომა გასწორდა რეტროსპექტულად და შესაბამისად გასწორდა მოგება-ზარალის ანგარიშგება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირების შედეგები შემდეგია:

	კორექტირებამდე	კორექტირება #1	კორექტირება #2	დაკორექტირე-ბული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ძირითადი საშუალებები	55,326	-	(1,874)	53,452
აქტივის გამოყენების უფლება	1,653	1,456	-	3,109
სულ აქტივები	**67,420**	**1,456**	**(1,874)**	**67,002**
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	1,467	1,457	-	2,924
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**6,211**	**1,457**	**-**	**7,668**
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	290	227	-	517
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**2,346**	**227**	**-**	**2,573**
სულ ვალდებულებები	**8,557**	**1,684**	**-**	**10,241**
გაუნაწილებელი მოგება	58,015	(228)	(1,874)	55,913
სულ კაპიტალი	**58,863**	**(228)**	**(1,874)**	**56,761**
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საოპერაციო ხარჯები	(5,798)	400	-	(5,398)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,842)	(315)	(1,874)	(8,031)
საპროცენტო ხარჯი	(1,138)	(175)	-	(1,313)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**16,487**	**(90)**	**(1,874)**	**14,523**
ფულადი ნაკადების ანგარიშგება				
ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	16,487	(90)	(1,874)	14,523
ცვეთა და ამორტიზაცია	5,842	315	1,874	8,031
საპროცენტო ხარჯი	1,138	175	-	1,313
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**22,573**	**400**	**-**	**22,973**
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**14,929**	**400**	**-**	**15,329**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, პროცენტი	(208)	(197)	-	(405)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, ძირი	(274)	(203)	-	(477)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(5,271)**	**(400)**	**-**	**(5,671)**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირების შედეგები შემდეგია:

	კორექტირებამდე	კორექტირება #1	დაკორექტირებუ-ლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
აქტივის გამოყენების უფლება	1,892	1,771	3,663
სულ აქტივები	**62,651**	**1,771**	**64,422**
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	1,726	1,715	3,441
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**11,596**	**1,715**	**13,311**
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	283	194	477
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**8,679**	**194**	**8,873**
სულ ვალდებულებები	**20,275**	**1,909**	**22,184**
გაუნაწილებელი მოგება	41,528	(138)	41,390
სულ კაპიტალი	**42,376**	**(138)**	**42,238**

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

მიმდინარე წელს ძალაშია საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტების შემდეგი შესწორებები, რომლებიც სავალდებულო ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

- შესწორებები ფასს 3 სტანდარტში მოცემულ მითითებებში კონცეპტუალურ ჩარჩოზე
- შესწორება სტანდარტში ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ - შემოსავალი დაგეგმილ გამოყენებამდე
- შესწორება სტანდარტში ბასს 37 „დამამძიმებელი კონტრაქტები“ - კონტრაქტის შესრულების ღირებულება
- ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ცვლილება ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების შეფასებისას „10 პროცენტის“ გამოყენების პროცესში.
- ფასს 16 - იჯარა - იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესების ანაზღაურების თვალსაჩინოება.
- ბასს 41 - სოფლის მეურნეობა - გადასახადებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების შეფასება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ბოლომდე ძალაში არ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამის სამსახურს არ დაუმტკიცებია:

ფასს 17 (ფასს 17-ის 2020 წლის ივნისისა და 2021 წლის დეკემბრის შესწორებათა ჩათვლით)	სადაზღვევო კონტრაქტები
შესწორებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28	აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის ასოცირებულ პირს ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებად
შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ	სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
შესწორებები სტანდარტში ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტში ბასს 12	ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
შესწორება სტანდარტში ბასს 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვა-უკუიჯარის ტრანზაქციაში
შესწორება სტანდარტში ბასს 1	გრაძელვადიანი, დათქმით აღებული ვალდებულებები

კომპანიის დირექტორთა საბჭო არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

5. მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. „კომპანიამ“ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა, არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება „კომპანიის“ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიმდინარე გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ „კომპანიის“ ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს „კომპანიის“ ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს.

ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და „კომპანიას“ დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საქართველოს კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, არ არის იმდენად დახვეწილი, რომ კონცესიის ხელშეკრულების ყველა იურიდიული თუ საგადასახადო ასპექტის შესახებ გვთავაზობდეს დეტალურ მითითებებს. რისკის შესამცირებლად, კომპანიის მენეჯმენტმა მოიპოვა წინასწარი საგადასახადო დასკვნა, რომელიც ორაზროვან ასპექტებს ეხება და გარკვეული დამცავი მექანიზმები გაითვალისწინა კონცესიის ხელშეკრულებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სათანადოდ განმარტავს შესაბამის კანონმდებლობას და რომ „კომპანიის“ საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული შეფასებები უცვლელი დარჩება.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი

ყოველ საანგარიშგებო თარიღში კომპანია აფასებს, ხომ არ არსებობს იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. ზარალის რეზერვი აღიარდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივმა გაუფასურების ზარალი განიცადა, მისი საბალანსო ღირებულება ანარიცხების ანგარიშზე მცირდება და ზარალის ოდენობა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

მენეჯმენტის აზრით, სავაჭრო მოთხოვნის შესაძლო ანარიცხის რეკომენდებული ოდენობაა 571 ლარი (2021: 300 ლარი) (შენიშვნა 10).

6. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი ავიამომსახურებიდან	16,674	14,776
შემოსავალი სახმელეთო მომსახურებიდან	10,323	10,183
დაუბეგრავი სავაჭრო მაღაზიების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	5,132	4,109
შემოსავალი ფართის იჯარიდან	1,664	843
საკვები და სასმელი პროდუქტებით ვაჭრობის სივრცეების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	745	396
სარეკლამო შემოსავალი	321	139
შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან	255	319
შემოსავალი ავტომანქანების პარკირების მომსახურებიდან	212	162
სხვა შემოსავალი	243	442
სულ შემოსავალი	**35,569**	**31,369**

ხელშეკრულების ნაშთები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	2,634	2,377
სახელშეკრულებო ვალდებულებები:		
- მიღებული ავანსები (მე-14 შენიშვნა)	75	68
- მიღებული დეპოზიტები და გარანტიები (მე-13 შენიშვნა)	871	840

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის ზრდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, გამოწვეული იყო 2022 წლის განმავლობაში შემოსავლის ზრდით.

7. საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	933	750
საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება	900	938
უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება	821	809
დაზღვევა	647	546
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	547	573
ავიადისპეტჩერული მომსახურება	456	378
კომუნალური ხარჯები	426	369
სავაჭრო მთხოვნების და სხვა აქტივების გაუფასურება	271	300
საწვავ-საცხები მასალები	138	69
იჯარა	88	64
კომუნიკაციის და საკანცელარიო საქონლის ხარჯები	79	53
სარეკლამო ხარჯები	11	-
სხვა ხარჯები	450	549
სულ საოპერაციო ხარჯები	**5,767**	**5,398**

8. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	ავტო-ტრანსპორტი	ავეჯი და აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	**48**	**452**	**1,114**	**1,732**	**4,915**	**51,217**	**59,478**
დამატება	-	49	74	-	57	5,023	**5,203**
გადატანა	15,931	-	1,517	21,711	16,949	(56,108)	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	**15,979**	**501**	**2,705**	**23,443**	**21,921**	**132**	**64,681**
დამატება	-	540	124	967	809	268	**2,708**
გადატანა	-	-	-	122	278	(400)	-
რეალიზაცია	-	(32)	(4)	-	(4)	-	**(40)**
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	**15,979**	**1,009**	**2,825**	**24,532**	**23,004**	**-**	**67,349**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	**34**	**228**	**759**	**738**	**1,996**	**-**	**3,755**
წლიური დარიცხვა	1,880	29	302	2,695	2,568	-	**7,474**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	**1,914**	**257**	**1,061**	**3,433**	**4,564**	**-**	**11,229**
წლიური დარიცხვა	2,504	90	349	3,630	3,261	-	**9,834**
რეალიზაცია	-	(32)	(1)	-	(3)		**(36)**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	**4,418**	**315**	**1,409**	**7,063**	**7,822**	**-**	**21,027**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული, მე-3 შენიშვნა)	**14,065**	**244**	**1,644**	**20,010**	**17,357**	**132**	**53,452**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	**11,561**	**693**	**1,416**	**17,469**	**15,182**	**-**	**46,322**

9. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი 34,505 $მ^2$ და „კომპანია“ მისგან საიჯარო შემოსავალს იღებს. საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით.

ქონების საბაზრო მეთოდით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ერთ კვ/მ-ზე მერყეობს 0.12 ლარსა და 0.2 ლარს შორის. შემოსავალმა საინვესტიციო ქონების იჯარიდან შეადგინა 18 ლარი (2021 წელს: 22 ლარი).

10. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიმდინარე ნაწილი		
სავაჭრო მოთხოვნები	3,205	2,677
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(571)	(300)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**2,634**	**2,377**

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მისი დაფარვის ვადა, როგორც წესი, 30-60 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2022	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული <30 დღე	<90 დღე	ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 90-360 დღე
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე, სულ	3,205	1,795	57	270	1,083
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი		0%	0%	0%	53%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(571)	-	-	-	(571)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,634**	**1,795**	**57**	**270**	**512**

2021	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული <30 დღე	<90 დღე	ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 90-360 დღე
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე, სულ	2,677	1,502	70	469	636
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი		0%	0%	0%	47%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(300)	-	-	-	(300)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,377**	**1,502**	**70**	**469**	**336**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უმსხვილესი დებიტორია უკრაინული ავიაკომპანია „იანაირი“. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ კომპანიის მიმართ მოთხოვნები შეადგენდა 540 ლარს.

2022 წლის 24 თებერვალს, მოხდა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია და ორ ქვეყანას შორის დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი. აღნიშნული გარემოებების გამო, უკრაინულმა ავიაკომპანიამ ბათუმის აეროპორტში ფრენები შეწყვიტა. მენეჯმენტმა გადააფასა აღნიშნული მოთხოვნის საკრედიტო რისკი და შექმნა ზარალის რეზერვი 361 ლარის ოდენობით.

	სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი
რეზერვი 31 დეკემბერი 2021	**300**
გაუფასურების ზარალი	271
რეზერვი 31 დეკემბერი 2022	**571**

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	10,605	6,821
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	5	6
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**10,610**	**6,827**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შედგება ეროვნულ ვალუტაში განთავსებული 1,338 ლარისა და უცხოურ ვალუტაში – 9,267 ლარის მიმდინარე ანგარიშებისგან, (31 დეკემბერი 2021: 1,038 ლარი და 5,783 ლარი, შესაბამისად).

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი, რომელმაც 2022 წელს შეადგინა 237 ლარი (2021: 269 ლარი).

12. კაპიტალი

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 848 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას“ ჰქონდა 57,629 ლარის გაუნაწილებელი მოგება (31 დეკემბერი 2021: 55,913 ლარი და 31 დეკემბერი 2020: 41,390 ლარი).

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 11,104 ლარის ოდენობით შესაბამისი გადასახადების ჩათვლით. (2021: 0 ლარი)

13. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული დეპოზიტები და გარანტიები (ა)	871	840
გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ (ბ)	572	461
აეროპორტის მომსახურებებში გადასახდელი თანხები	281	265
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**1,724**	**1,566**

(ა) მიღებული დეპოზიტები და გარანტიები წარმოადგენს „კომპანიის“ კლიენტების მიერ განთავსებულ საგარანტიო შენატანებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საქმიანობის დაწყებისას. ეს შენატანები ექვემდებარება დაბრუნებას მაშინ, როდესაც კლიენტი გადაწყვეტს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გასვლას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

(ბ) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ წარმოდგენილია გადასახდელებით მიღებული მომსახურების სანაცვლოდ.

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს ავიაკომპანიების მიერ წინასწარ გადახდილ ავიამომსახურების საფასურს და ფართის განაწილებისათვის მიღებულ ავანსებს და უტოლდება 75 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 68 ლარი).

15. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

აქტივის გამოყენების უფლება	შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობები და შესაბამისი მიწის ნაკვეთი
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2020	4,771
31 დეკემბერი 2021	4,771
31 დეკემბერი 2022	**4,771**
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	**1,108**
წლის დარიცხვა	554
31 დეკემბერი 2021	**1,662**
წლის დარიცხვა	554
31 დეკემბერი 2022	**2,216**
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	3,663
31 დეკემბერი 2022	3,109
31 დეკემბერი 2021	2,555

	საიჯარო ვალდებულება		
	2022	**2021**	**2020**
1 იანვარს	**3,441**	**3,918**	**4,359**
საპროცენტო ხარჯი	351	405	456
პროცენტის გადახდა	(351)	(405)	(456)
ძირის გადახდა	(517)	(477)	(441)
31 დეკემბერს	**2,924**	**3,441**	**3,918**
მიმდინარე	562	517	477
გრძელვადიანი	2,362	2,924	3,441

16. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხი

2020 წლის ბოლოს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას დაკავშირებულ მხარესთან, შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“ 2025 წლის 31 დეკემბრამდე 7 მილიონი აშშ დოლარის ლიმიტით, წლიური 6.9 საპროცენტო განაკვეთით. საკრედიტო ხაზის ფარგლებში კომპანიამ 2021 და 2020 წლების განმავლობაში აითვისა 2.8 მილიონი აშშ დოლარი და 3 მილიონი აშშ დოლარი შესაბამისად. სესხის აღების მიზეზი იყო აეროპორტის გაფართოების პროექტის დაფინანსება. 2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ სრულად დაფარა სასესხი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია აღებული სესხების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა წლის განმავლობაში.

	აღებული სესხები	
	2022	**2021**
1 იანვარი	**4,744**	**9,870**
მიღებული სესხი	-	9,385
გადახდა	(4,555)	(14,174)
საპროცენტო ხარჯი	130	1,165
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია	-	(257)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(319)	(1,245)
31 დეკემბერი	**-**	**4,744**

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – „კომპანია“ როგორც მოიჯარე

„კომპანიას“ აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“, რომლის მიხედვითაც „კომპანიას“ გადაეცა ქონება იჯარით ნებადართული სარგებლობისათვის. საკუთრების უფლება იჯარის ხელშეკრულების აქტივებზე ეკუთვნის საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას, ხოლო „კომპანია“ ამ აქტივებს მართავს იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად. იჯარის საფასურის სახით „კომპანია“ აეროპორტების გაერთიანებას გადახდილ ქონებისა და მიწის გადასახადს უნაზღაურებს.

სამართლებრივი დავები

2022 და 2021 წლის 31 დემებრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული არცერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ დავებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგები არ იქნება და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივი განვითარების ეტაპზეა და შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა და ხშირად იცვლება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ „კომპანიის“ ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს „კომპანიის“ ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო ორგანოს მხრიდან შემოწმებისთვის საგადასახადო პერიოდები ღიაა 3 წლის ვადით. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და „კომპანიას“ დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება უფრო მეტი რისკებით ვიდრე განვითარებული ბაზრები. ისეთი რისკები, როგორებიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება.

აშშ-ს სანქციები

რუსეთის, ბელორუსისა და ირანის წინააღმდეგ აშშ-ის მთავრობის სანქციების ფარგლებში, ჰოლდინგმა - TAV Holding Group-მა 2023 წლის იანვარში მიიღო წერილი აშშ-ს მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროდან ("BIS"), კერძოდ, ექსპორტის აღსრულების ოფისიდან ("OEE"). წერილში ნახსენებია შეერთებულ შტატებში მოქმედი სანქციების რეჟიმის მარეგულირებელი ჩარჩო, განსაკუთრებით ექსპორტის ადმინისტრირების რეგულაციებთან ("EAR") კავშირში, ჩამოთვლილია ის თვითმფრინავები, რომლებიც ექცევა აღნიშნული სანქციების მოქმედების ქვეშ (თვითმფრინავი, რომელიც შეიცავს მინიმუმ 25%-ს ამერიკული წარმოების კომპონენტებს და ექსპლუატაციაშია რუსული, ბელორუსული და ირანული ავიახაზების მიერ) და ავალდებულებს TAV-ს შეაფასოს მომსახურების გაწევის რისკები იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებიც ოპერირებენ თურქეთისა და საქართველოს საჰაერო სივრცეში.

შედეგად, TAV Holding-მა და Groupe ADP-მა დაავალეს Hogan Lovells-ს, შეეფასებინა ჯგუფის პოტენციური სამართლებრივი რისკები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია 2023 წლის იანვარში აშშ-ს მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროდან ("BIS") წერილით მიღებულ მითითებებთან.

- იმ სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, რომელიც ტავ ჰოლდინგმა მიიღო Hogan Lovells-ისგან, კომპანიას არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ BIS ამ დროისთვის აპირებს ბათუმის აეროპორტის სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ჯარიმების დაწესებას, იმ პირობით, რომ TAV Holding დაუყოვნებლივ მიიღებს მოქმედებებს იანვრის წერილის დებულების შესაბამისად.
- კომპანიის გაუფასურების შემოწმება მოხდა 2023 წლის საწყისი ბიუჯეტის საფუძველზე და ბათუმის აეროპორტი შეესაბამება ამ ციფრებს განახლებულ პროგნოზში, კომპანია მიიჩნევს, რომ ახალი გაუფასურების ტესტები არ არის საჭირო.
- ბათუმის აეროპორტმა 2023 წლის თებერვლიდან შეაჩერა სახმელეთო მომსახურების გაწევა სანქცირებული საჰაერო ხომალდებისთვის, რომლებიც ოპერირებენ ავიაკომპანია Belavia-ს ფარგლებში.
- ამ პროცესში ჩართულია იურიდიული, შიდა აუდიტის, ოპერაციული და ფინანსური ჯგუფები. კომპანიამ შეაფასა და გაანალიზა ამ წერილის გავლენა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ გამოავლინა მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენა.

18. გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან

გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

„ტავ ბათუმი" „კომპანიის" 100% წილის მმართველია. TAV Havalimanlari Holding „ტავ ბათუმის" მშობელი კომპანიაა. ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა კომპანიები წარმოადგენენ TAV Havalimanlari Holding-ის კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს.

2022	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებულ მხარესთან მისაღები თანხა/(დავალიანება), წმინდა 31 დეკემბერი 2022
შპს „ეი თი იუ ჯორჯია" (ა)	5,140	–	399
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია" (ბ)	747	(2)	59
შპს „ტავ ჯორჯია ოპერეიშენს" (გ)	256	(205)	1
შპს „ტავ ურბან საქართველო" (დ)	45	(215)	-
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (ე)	-	(627)	(197)
TAV Bilisim Hizmetleri A.S., საქართველოს ფილიალი (ე)	27	(166)	20
HAVAS Havaalanlari Yer Hizmetleri A.S (ვ)	-	(36)	-
Havas Georgia (ვ)		(56)	-
„ტავ ბათუმი ოფერეიშენს" (ზ)	-	(26)	-
„ტავ ჰოლდინგი" (თ)	-	(532)	(191)
„Havas Latvia" (ვ)	-	(375)	-
სულ	**6,215**	**(2,240)**	**91**

2021	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებულ მხარესთან მისაღები თანხა/(დავალიანება), წმინდა 31 დეკემბერი 2021
შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (ა)	4,158	–	291
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ (ბ)	422	-	30
შპს „ტავ ჯორჯია ოპერეიშენს“ (გ)	323	(126)	19
შპს „ტავ ურბან საქართველო“ (დ)	11	(197)	(4,756)
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (ე)	-	(428)	(30)
TAV Bilisim Hizmetleri A.S., საქართველოს ფილიალი	1	(162)	(80)
HAVAS Havaalanlari Yer Hizmetleri A.S (ვ)	-	(79)	(15)
Havas Georgia (ვ)	-	(9)	-
„ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ (ზ)	-	(26)	-
„ტავ ჰოლდინგი“ (თ)	-	(642)	(174)
„ტავ ქონსტრაქშენს ჯორჯია“ (ი)	-	(4,337)	-
სულ	**4,915**	**(6,006)**	**4,715**

(ა) შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ ამუშავებს დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიას ბათუმის აეროპორტში. „კომპანია“ იღებს საკომისიო მოსაკრებელს დაუბეგრავი გაყიდვებიდან.

(ბ) „კომპანიას“ ქვეკონტრაქტი აქვს გაფორმებული შპს „ბი-თი-ეი ჯორჯიასთან“ გარკვეული საკვები და სასმელი ობიექტების მუშაობაზე, საიდანაც იღებს გაყიდვების მიხედვით საკომისიო მოსაკრებელს.

(გ) შპს „ტავ ჯორჯია ოფერეიშენს“ „კომპანიას“ უწევს საკონსულტაციო და ლაუნჯის მომსახურებას.

(დ) 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა სესხი შპს TAV Urban Georgia-სგან, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს - TAV Havalimanlari Holding-ის შვილობილ კომპანიას. ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 4,744 ლარს. (შენიშვნა 16).

(ე) TAV Bilisim Hizmetleri A.S. და TAV Bilisim Hizmetleri A.S. Georgia კომპანიას აწვდის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მომსახურებასა და მიმდინარე მხარდაჭერას.

(ვ) HAVAS, HAVAS Georgia და Havas Latvia აეროპორტს უწევს სახმელეთო სერვისებს და საკონსულტაციო მომსახურებას.

(ზ) შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ ფლობს კობუსის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც „შპს ბათუმის აეროპორტი“ იყენებს იჯარის წესით.

(თ) TAV ჰოლდინგი – არის შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს-ის“ დამფუძნებელი და ბათუმის აეროპორტის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე (“Ultimate Controlling Party”).

(ი) შპს „ტავ ქონსთრაქშენ ჯორჯიამ“ „კომპანიას“ გაუწია აეროპორტის გაფართოების სამშენებლო-სარკეონსტრუქციო სამუშაოებს.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობის ანაზღაურება

„კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია 1 პირით. 2022 წელს მისი წლიური ანაზღაურება 274 ლარს შეადგენდა, ხოლო ბონუსები და სხვა გასამრჯელოები 51 ლარს (2021: 226 ლარი და 86 ლარი, შესაბამისად, 1 პირისგან შემდგარი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის). „კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სხვა ანაზღაურებას არ იღებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო გადასახდელებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია „კომპანიის“ ოპერაციების დაფინანსება. „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, რომლებიც მისი ოპერაციების შედეგად წარმოიქმნება.

„კომპანიას“ აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. „კომპანია“ დიდი ჯგუფის ნაწილია, ამიტომ მისი ფინანსური რისკების ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება ჯგუფის დონეზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერაციების

შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები, აგრეთვე მესამე მხარეებისგან მიღებული მომსახურებები.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიადგება. „კომპანიას“ საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობიდან, მათ შორის ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს. „კომპანიამ“ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თითოეული ახალი კლიენტის გადახდისუნარიანობის გაანალიზება ინდივიდუალურად ხდება, სანამ მოხდება კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების ვადების შეთავაზება. კომპანიის მხრიდან კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება გულისხმობს გარე რეიტინგებსაც, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს. „კომპანიის“ კლიენტების 90%-ზე მეტი მინიმუმ ხუთი წელია, რაც „კომპანიასთან“ თანამშრომლობს და ზარალის შემთხვევა იშვიათად დამდგარა. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიისათვის უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს (შენიშვნა 10).

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც „კომპანიასთან“ უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფული და ფულის ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა არის:

	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	2,634	2,377
ფული და ფულის ეკვივალენტები (მე-11 შენიშვნა)	10,605	6,821
	13,239	**9,198**

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების ზემოქმედება დასრულებული წლის დაბეგრილ მოგებაზე, როცა სხვა ფაქტორები მუდმივია:

	გამყარება	გაუფასურება
2022		
USD (10% ცვლილება)	961	(961)
2021		
USD (10% ცვლილება)	99	(99)

„კომპანია“ სავალუტო რისკს მართავს უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნაშთებით. სავალუტო რისკს ისიც ამცირებს, რომ შემოსავლებთან დაკავშირებული გარიგებების დიდი ნაწილი აშშ დოლარშია.

„კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში დენომინირებული	
	2022	2021
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	9,210	5,673
სავაჭრო მოთხოვნები	1,558	1,180
სავაჭრო გადასახდელები	(1,158)	(1,121)
აღებული სესხები	-	(4,744)
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,610**	**988**

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა თუ „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„კომპანია“ ფულად ნაკადებს ყოველდღიურად იღებს რეგულარული კლიენტებისგან. ეს უზრუნველყოფს „კომპანიისთვის“ საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას, რომ მან თავისი ფინანსური ვალდებულებები დაფაროს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

31 დეკემბერი, 2022	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	621	1,103	-	-	**1,724**	1,724
საიჯარო ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	213	640	2,845	-	**3,698**	2,924
	834	**1,743**	**2,845**	**-**	**5,422**	**4,648**

31 დეკემბერი, 2021	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	716	850	-	-	**1,566**	1,566
საიჯარო ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	217	651	3,332	367	**4,567**	3,441
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი (მე-16 შენიშვნა)	-	-	5,958	-	**5,958**	4,744
	933	**1,501**	**9,290**	**367**	**12,091**	**9,751**

(iv) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის საბაზრო პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც შეფასებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებისა, რომლებიც ფასდება 1-ლი დონით.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის. დაკავშირებულ მხარესთან სესხის აღების მომენტში კომპანიამ გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად სესხის სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

(v) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის პოლიტიკა. ამის მიზანია, საკმარისი დადებითი კაპიტალის ქონა იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას უწყვეტი საწარმოს პრინციპით ოპერაციების გაგრძელება.

20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

2023 წლის 13 თებერვალს,19 აპრილსა და 18 აგვისტოს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,657 ათასი, 8,693 ათასი და 3,080 ათასი ლარის ოდენობით, გადასახადების ჩათვლით გაუნაწილებელი მოგებიდან შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენსზე“ გადასანაწილებლად, როგორც კომპანიის 100% წილის მმართველზე.

შესავალი

ბათუმის აეროპორტი არის "TAV Airports Holding"-ის ჯგუფის წევრი [“Aéroport De Paris” ჯგუფის წევრი], რომელმაც საქართველოში ოპერირება 2007 წელს დაიწყო და განახორციელებს საქმიანობას 2027 წლამდე "საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან" არსებული ხელშეკრულების ფარგლებში.

2020-2021 წლები კომპანიისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა უახლესი ისტორიის მანძილზე. ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში კოვიდ პანდემიისაგან სწორედ სამოქალაქო ავიაცია იყო. თუმცა, წინა წლებში დაგროვილმა გამოცდილებამ, ფინანსურმა მდგრადობამ და მოქნილობამ მმართველობით რგოლში, გამოიწვია ის, რომ კომპანიამ 2022 წელს მოახერხა 2019 წლის (პანდემიამდელი წელი) მოგების 61%-მდე აღდგენა.

იმის მიუხედავად, რომ 2022 წელზე პანდემიურ კრიზისს კვლავ ჰქონდა გავლენა, წინა წლების მსგავსად კომპანიიდან არ მომხდარა თანამშრომელთა გათავისუფლება. ამავდროულად, კომპანია მკაცრად იცავდა უსაფრთხოების ყველა სტანდარტს. პანდემიის პერიოდში შემოღებულმა ხარჯების შემცირების პოლიტიკამ უზრუნველყო საკმარისი მოქნილობა, რაც აუცილებელი იყო პანდემიის უარყოფითი ზემოქმედებისგან დროული და ეფექტური აღდგენისათვის.

კომპანიის შესახებ

მმართველობა

კომპანიის სტრატეგიულ და ბიზნეს გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია კომპანიის გენერალური მენეჯერი. გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხს აგებს გენერალური მენეჯერის მოადგილე და შესაბამისი დეპარტამენტის მენეჯერები.

სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს გენერალური მენეჯეირ უზიარებს და ათანხმებს ორ ავტორიზებულ წარმომადგენელთან, რომლებიც არიან „ტავ ურბან ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერი და გენერლაური მენეჯერის მოადგილე [ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებში].


ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი აწარმოებს ყოველთვიურ ბუღალტრულ და ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც თანხვედრაშია ადგილობრივ საგადასახადო და ფასს სტანდარტებთან. ბუღალტრული მონაცემების დამუშავება და გარდაქმნა ხდება ფასს სტანდარტების მიხედვით შესაბამისი პერსონალის მიერ.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი მოვალეა, უზრუნველყოს, რომ ბუღალტრული და ფასს ანგარიშგებები იყოს ზუსტი და სამართლიანად წარდგენილი შესაბამის ანგარიშებში. საკვანძო საკითხებში, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვანი დაშვებებისა და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებას, ხდება „ტავ ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების ერთეულის ჩართვა და გადაწყვეტილებების კოორდინაცია.

ბიზნესის შესახებ

ბათუმის აეროპორტი არის Tav Holding-ის წარმატებული ბიზნეს მოდელი, რომელიც Build Operate-Transfer-ის მოდელზეა დაფუძნებული, ის მომხმარებელს სთავაზობს ინტეგრირებულ სერვისებს და ქმნის აეროპორტის წარმატებული მართვის პლატფორმას.
კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს სამგზავრო საავიაციო და სახმელეთო მომსახურების სრულ სპექტრს, რომელიც ეფუძნება ხანგრძლივი გამოცდილებისა და ცოდნის კოორდინირებას, რათა მოემსახუროს მომხმარებლებს და საზოგადოებას. კომპანიის მენეჯმენტს მტკიცედ სჯერა, რომ მომხმარებლებისა და პარტნიორების კომფორტი უმთავრესია და ყველა ქმედება ამ ღირებულებების გარშემოა გაერთიანებული.
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი გააჩნია ორი კატეგორიის მომსახურება: საავიაციო და არასაავიაციო. პირველი მოიცავს მგზავრთა გადაყვანას და სახმელეთო საავიაციო მომსახურებებს, ხოლო მეორე წარმოადგენს არასაავიაციო, დამხმარე მომსახურებას.




კომპანიის შემოსავლების 76%-მდე გენერირდება საავიაციო მომსახურებიდან, კონკრეტულად კი ტერმინალის და სახმელეთო მომსახურებით. ტერმინალის სერვისები მოიცავს სამგზავრო მომსახურებას, რომელიც გაწეულია ტერმინალის შენობაში. სახმელეთო სერვისები დაკავშირებულია როგორც თვითმფრინავების, ასევე მგზავრების მომსახურებასთან და ის გაწეულია ასაფრენ ბილიკსა და პლატფორმაზე.

ბიზნეს მოდელი

მგზავრთა მომსახურების საფასური

მგზავრთა მომსახურება მოიცავს მგზავრთა გადაყვანის სრულ ციკლს, ერთი მხრივ მათი რეგისტრაციიდან ჩასხდომამდე და მეორე მხრივ ხომალდის დატოვებიდან პასპორტის კონტროლამდე. სამზგავრო გადასახადი ერიცხება თითეული მგზავრის გადაყვანისთვის და განსხვავებულია საშინაო, საგარეო და ტრანზიტული ფრენებისთვის.

სამგზავრო გადასახადი ირიცხება IATA-ს მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.
გამონაკლისებია:
- 2 წლამდე ასაკის ბავშვები
- ქვეყნის მეთაურები
- საბჭოს წევრები
- დეპორტირებული მგზავრები
- საჰაერო მარშალები
- ჰუმანიტარული დახმარების მისიები
- ტექნიკური დავის შემთხვევები
- გადამისამართებული ფრენები




დაფრენის მოსაკრებელი

დაფრენის მოსაკრებელი ერიცხება საჰაერო ხომალდს, აეროპორტით სარგებლობისას; ის განსხვავებული ოდენობისაა საშინაო და საგარეო ფრენებისთვის და დამოკიდებულია ხომალდის მაქსიმალურ ასაფრენ წონაზე (MTOW). 14 MTOW-ზე მეტის შემთხვევაში მოსაკრებელი იზრდება. დაფრენის მოსაკრებელი დღის დროის მიხედვითაც გასხვავებულია (20:00-06:00 and 18:00-08:00).
გამონაკლისები მოსაკრებლის დარიცხვისგან არის: ავარიული დაშვებები, სადემონსტრაციო ფრენები და ალტერნატიული დაშვებები უამინდობის გამო.

სახმელეთო საავიაციო მომსახურება

სახმელეთო მომსახურეობები მთლიანი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი მოიცავს ყველა სახის გადასახადს, რომელიც გაწეულია თვითმფრინავზე. რამპის მომსახურე პერსონალი ეხმარება თვითმფრინავებს კომფორტულად გადაადგილდნენ ტერმინალის ტერიტორიაზე და უზრუნველყონ მგზავრთა კომფორტი. ტვირთის კონტროლი, ბარგის ტრანსპორტირება, მგზავრების გადაზიდვა და სხვა მომსახურება წარმოდგენილია როგორც სახმელეთო მომსახურება.

არასაავიაციო შემოსავალი



- ATU Duty Free არის duty free სერვისების პროვაიდერი აეროპორტის ტერიტორიაზე. ის გაყიდვების პროპორციულ წილს უხდის ბათუმის აეროპორტს.
- კომპანია, რომელიც ემსახურება აეროპორტს კვების ობიექტებით, არის BTA Georgia, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს კვების ობიექტებთან, ოპერირებს და მართავს საკვებ პუნქტებს აეროპორტში.
- 2022 წელს საკვები ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 88%-ით ძირითადად პანდემიისგან აღდგენის გამო.

ბათუმის აეროპორტი ასევე იჯარით გასცემს ტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ ფართებს კომერციულ და საოფისე დანიშნულებით. 2022 წლის ბოლოს იჯარით აღებული ფართების რაოდენობამ 55 ერთეულს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ფართების გაქირავებით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 97%-ით, რაც დიდწილად განპირობებული იყო პანდემიის რეგულაციების გაუქმებით.

2022 - ავიაკომპანიები

2022 წელს ბათუმის აეროპორტმა გააფორმა ახალი ხელშეკრულებები 12 ავიაკომპანიასთან:


1. Qeshm Air – თეირანი
2. Iran Aseman Airlines - თეირანი
3. Jordan Aviation -ამანი
4. Ak Air – ნატახტარი
5. Azerbaijan (Buta Airways) -ბაქო
6. Air Baltic – რიგა
7. Uzbekistan Airways -ტაშკენტი
8. Armenia Airways – ერევანი
9. Varesh Airlines -თეირანი
10. Pars Air – რაშტი
11. Smartwings – თელ-ავივი
12. Tbilisi Airways – ერევანი

გარდა ახალი ავიახაზების შემოსვლისა, არსებულმა ოპერატორებმა დაამატეს ახალი მიმართულებებიც. მნიშვნელოვანი დამატებები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა:

დამამი – Flynas
ტალინი – Getjet Airlines


2022 წელი – სტატისტიკა

მგზავრთა და თვითმფრინავთა მოძრაობა



მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელი კვლავ ნაწილობრივ დაზარალდა Covid-ის პანდემიით, მგზავრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეასრულა ბიუჯეტის მაჩვენებლების 87%. წინა წელთან შედარებით, მაჩვენებლები 20%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება საჰაერო ხომალდების რაოდენობას, გადახრები შეესაბამება მგზავრების მაჩვენებლების მოძრაობას. ბიუჯეტის წლიური შესრულება 97%-ია, ხოლო წინა წელთან შედარებით ზრდა 10%-ია. ქვემოთ მოცემულია საჰაერო ტრაფიკის გრაფიკული ანალიზი.



რაც შეეხება ფრენებს ქვეყნების მიხედვით: ყველაზე დიდი კლება [96%] უკრაინას მიეკუთვნებოდა. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა გადაწყვეტილება უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ და რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ამის შემდეგ უკრაინამ დახურა საჰაერო სივრცე სამოქალაქო ფრენებისთვის.

თუმცა, პანდემიის შემდგომი პერიოდის აღდგენის გამო, კლება კომპენსირდება სხვა ქვეყნების ფრენების ზრდით: ისრაელი (89%), საუდის არაბეთი (50%) და თურქეთი (137%). მგზავრების მთლიანმა ზრდამ შეადგინა 20%.

რაც შეეხება სეზონურობას, სურათი არ შეცვლილა. მგზავრთა რაოდენობა გაზაფხულის შემდეგ იწყებს მატებას და პიკს აგვისტოში აღწევს. შემდეგ თანდათან მცირდება წლის ბოლომდე.



2019 წელთან შედარებით, 2022 წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა მოახერხა მგზავრთა რიცხვის 99%-ის აღდგენა და თვითმფრინავების რაოდენობას 1%-ითაც კი გადააჭარბა.

მგზავრთა რაოდენობის ანალიზი


პერიოდი	2019 რეალური	2021 რეალური	2022 რეალური	2023 F (იან. - მაი. რეალური + დაგეგმილი)	2023F/2019A	2022A/2019A	2022A/2021A
საერთაშორისო	**601,085**	**508,552**	**608,673**	**682,915**	**27%**	**3%**	**39%**
გაფრენა	303,232	256,640	310,415	346,084	14%	2%	21%
ჩამოფრენა	297,853	251,912	298,258	336,831	13%	0%	18%
ადგილობრივი	**23,096**	**7,533**	**8,212**	**8,712**	**-124%**	**-128%**	**22%**
გაფრენა	12,967	3,331	4,229	4,436	-66%	-67%	27%
ჩამოფრენა	10,129	4,202	3,983	4,275	-58%	-61%	-5%
Total	**624,181**	**516,085**	**616,885**	**691,627**	**11%**	**-1%**	**20%**

თვითმფრინავების რაოდენობის ანალიზი

2022 წლის ინვესტიციები

2022 წელს კაპიტალური დანახარჯების მოცულობამ გადააჭარბა 2,8 მილიონ ლარს, საიდანაც, როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ვხედავთ, 33% მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობას ეხება, 29% კი საიჯარო ქონების გაუმჯობესებას.

პერიოდი	2019 რეალური	2021 რეალური	2022 რეალური	2023 F (იან. - მაი. რეალური + დაგეგმილი)	2023F/2019A	2022A/2019A	2022A/2021A
საერთაშორისო	**4,784**	**4,702**	**5,028**	**6,098**	**55%**	**10%**	**14%**
გაფრენა	2,392	2,351	2,514	3,049	27%	5%	7%
ჩამოფრენა	2,392	2,351	2,514	3,049	27%	5%	7%
ადგილობრივი	**922**	**510**	**724**	**562**	**-78%**	**-43%**	**84%**
გაფრენა	461	255	362	281	-39%	-21%	42%
ჩამოფრენა	461	255	362	281	-39%	-21%	42%
Total	**5,706**	**5,212**	**5,752**	**6,660**	**17%**	**1%**	**10%**



ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში/CIP

2022 წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა განახორციელა Oracle ERP და MIS პროგრამული პროექტები, რომელთა ჯამური ინვესტიცია აღემატება 110 ათას ლარს.

Oracle პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ:

კომპანიამ 2022 წელს დაიწყო Oracle ERP სისტემის დანერგვა, რომლიც წარმატებით ჩაეშვა 2023 წლის იანვრიდან.

საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა მართავს და აღრიცხავს ორგანიზაციის ყოველდღიურ ფინანსურ ტრანზაქციებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების, ხარჯების და შემოსავლების მართვას, დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების ანგარიშებს, ქვეწიგნის აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანალიტიკას. სრული აღრიცხვის სისტემა აკონტროლებს ორგანიზაციის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს. შემდეგ ეს ტრანზაქციები ავსებს მთავარ ბუღალტრულ წიგნს რეალურ დროში, რაც უზრუნველყოფს ფინანსური დირექტორის, ხაზინადარისა და კონტროლიორების დაუყოვნებლივ წვდომას ზუსტ ფინანსურ მონაცემებზე რეალურ დროში. ის ასევე აძლევს საშუალებას P&L-ის პასუხისმგებლობის მფლობელებს, შეამოწმონ თავიანთი შესრულებული სამუშაო ოპერაციულ დონეზე.

ფინანსური ოპერაციების სისტემატური აღრიცხვა იძლევა კვარტლური და წლიური ფინანსური ანგარიშგების წარმოების საშუალებას, მათ შორის საბალანსო უწყისის, მოგება/ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების და აქციონერთა კაპიტალის ანგარიშგების. სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფა არის საწარმოს რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემის ძირითადი კომპონენტი.

ბიზნეს ფუნქციები:
ERP სისტემები აერთიანებს არსებით ბიზნეს ფუნქციებს, როგორებიცაა აღრიცხვა, ფინანსური დაგეგმვა და ანალიზი (FP&A), მიწოდების ჯაჭვი, მარაგების მართვა და შესყიდვები. ეს აპლიკაციები ბუნებრივად ინტეგრირებულია საერთო მომხმარებლის ინტერფეისთან და მონაცემთა მოდელთან, რაც გამორიცხავს სისტემებს შორის გადაადგილების აუცილებლობას ან განცალკევებული მონაცემების ინტეგრირების აუცილებლობას ბიზნესის სხვადასხვა ასპექტების სამართავად.

რატომ Oracle:
აღრიცხვის, ანგარიშგების და პროცესის მენეჯმენტის სინქრონიზაციისა და გაერთიანების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება Oracle ERP პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს კომპანიას უფრო მეტი ინტეგრირება მოახდინოს ჯგუფის სტრუქტურაში და შექმნას უფრო განახლებული, გამძლე ERP ინფრასტრუქტურა, რომელიც აკმაყოფილებს მიმდინარე და მომავალ მიზნებს.

MIS პროექტი

Oracle ERP-ის პარალელურად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა წარმატებით განახორციელა SAP BI პროექტიც.

CMS სისტემა არის მონაცემთა ბაზა, რომელიც ინახავს BI პლატფორმის ინფორმაციას ინფო ობიექტების სახით. ნედლი მონაცემები იწმინდება, ინახება და გამოიყენება ბიზნეს ლოგიკით, რათა სასარგებლო იყოს საწარმოს მომხმარებლებისთვის უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანგარიშების სახით და შეიძლება იყოს ნაჩვენები ცხრილებით, სქემებით და ა.შ., რაც ეფექტური და ადვილია ანალიზისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

ვინაიდან სტატისტიკური მონაცემები კრიტიკულია საავიაციო ბიზნესისთვის, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა გადაწყვიტა განეხორციელებინა SAP BI პროექტი ოპერატიული სტატისტიკური მონაცემების უკეთ მოპოვების, წარმოდგენისა და ანალიზისთვის.

MIS-ის დაფის გამოყენებით მენეჯმენტი პირდაპირ რეჟიმში აკვირდება ოპერაციების სტატისტიკურ პარამეტრებს.

2022 წელი - თანამშრომლები

ბათუმის აეროპორტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული თანამშრომელი არის ორგანიზაციის ღირებული აქტივი. ჩვენ მზად ვართ, მუდმივად განვავითაროთ და ვიზრუნოთ ჩვენს თანამშრომლებზე. ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი შრომის ადეკვატური ანაზღაურება და პატივისცემა. კომპანია უზრუნველყოფს, რომ თანამშროლებს ეძლეოდეთ თანაბარი შესაძლებლობები და პატივი ვცეთ ბალანსის დაცვას პირადსა და სამსახურეობრივ ცხოვრებას შორის, რაც კომპანიის საკადრო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია.

	ადგილობრივი		უცხელი		სულ	
	2021	2022	2021	2022	2021	2022
იანვარი	154	175	2	1	**156**	**176**
თებერვალი	154	177	2	1	**156**	**178**
მარტი	155	185	1	1	**156**	**186**
აპრილი	155	194	1	1	**156**	**195**
მაისი	154	219	1	1	**155**	**220**
ივნისი	187	242	1	1	**188**	**243**
ივლისი	204	241	1	1	**205**	**242**
აგვისტო	210	243	1	1	**211**	**244**
სექტემბერი	206	243	1	1	**207**	**244**
ოქტომბერი	190	206	1	1	**191**	**207**
ნოემბერი	177	206	1	1	**178**	**207**
დეკემბერი	175	207	1	1	**176**	**208**
საშუალო	**177**	**212**	**1**	**1**	**178**	**213**
გადახრა		**20%**				**19%**

კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს საბაზისო დაზღვევით. გარდა ამისა, შპს ბათუმის აეროპორტი თანამშრომლებს უწევს კვების მომსახურებას კაფეტერიაში (მთლიანი ხარჯი 2022 წელს 376 ათას ლარზე მეტი იყო). ასევე, 2022 წელიდან კომპანიამ უზრუნველყო თანამშრომლების ტრანსპორტირება (სამსახურიდან სახლში და პირიქით).

თანამშრომლებისთვის ტრენინგები დაგეგმილია კომპანიის სასწავლო ცენტრის უფროსის მიერ, სტანდარტების და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით. ტრენინგებს ამტკიცებს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, რათა დარწმუნდეს, რომ კომპანიის თანამშრომლები გადამზადებულნი არიან განახლებული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად.

2022	2021	
4,460	2,612	ხელფასი
376	249	კვება
41	33	ტრენინგი
23	-	ტრანსპორტირება
195	168	დაზღვევა
82	43	საპენსიო ფონდი
261	192	სხვა
5,438	**3,298**	

კომპანია განუხრელად იცავს ადგილობრივ შრომითი კოდექსის მოთხოვნებს.

რისკები და გამოწვევები

ფინანსური რისკები

როგორც აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში, კომპანია შესაძლოა დადგეს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების წინაშე. რამდენადაც „ბათუმის აეროპორტი“ დიდი ჯგუფის წევრია, რისკების უმეტესი ნაწილი კონტროლდება ჯგუფის დონეზე. კომპანია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გარე საკრედიტო რესურსის გარეშე სრულად საკუთარი ფინანსური რესურსით ოპერირებს. კომპანიის რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერირების უზრუნველყოფა საკმარისი ფინანსური რესურსების გენერირების მიზნით, რომ კომპანიამ შეძლოს მიმდინარე კაპიტალურ ხარჯებისა და საოპერაციო ვალდებულებების მომსახურება.

საკრედიტო რისკი

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა იძლევა კლიენტების ინდივიდუალური და ზოგადი პარამეტრებით შეფასების საშუალებას. კლიენტების უმეტესობას გრძელვადიანი პარტნიორობის ისტორია აქვს, ხოლო ახალ კლიენტებთან დეპოზიტური და საავანსო გადახდის ფორმატია შემუშავებული. პანდემიის გავლენამ 2020 წელს მოთხოვნების დაყოვნების პერიოდი გაზარდა თუმცა ფრენების აღდგენისთანავე, 2022 წელს ის დაუბრუნდა სტანდარტულ მაჩვენებელს.

კომპანია პერმანენტულ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკისადმი ღიაობას, როგორც ეს წარმოდგენილია ფინანსური უწყისების მე-19 შენიშვნის პირველ ქვეპუნქტში.

სავალუტო რისკი

ბათუმის აეროპორტი სავალუტო რისკებს აზღვევს საკმარისი უცხოური ვალუტის ფლობით მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საბანკო ინსტიტუტებში. უმეტესობა კონტრაქტებისა არის აშშ დოლარში. სავალუტო რისკის მუდმივი მონიტორინგი ხდება სენსიტიურობის ანალიზის მეშვეობით.

არაფინანსური რისკები

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძველია.

კონკურენცია

ბათუმის აეროპორტი ქართული ავიაციის ოპერირების ერთ-ერთი ლიდერია მიუხედავად უკანასკნელ წლებში საავიაციო სფეროს სწრაფი განვითარებისა.

ხარისხითა და მომსახურების დონით კომპანიას აქვს რწმენა, რომ ადგილობრივი კონკურენცია არ წარმოადგენს მატერიალურ გამოწვევას. მიუხედავად ქუთაისის აეროპორტის მზარდი პოპულარობისა დაბალ-ბიუჯეტიან მგზავრებს შორის, კომპანია საკუთარ საბაზრო სეგმენტზე საიმედო და ძლიერი მოთამაშეა.

რეპუტაციული რისკები

რეპუტაცია და გუდვილი კომპანიისთვის სტრატეგიული აქტივებია. არსებობს რისკები, რომ ნებისმიერი არასწორი ქმედება და დაუდევრობა, ასევე სტანდარტებისგან გადახვევა, შესაძლოა სერიოზული რეპუტაციული ხიფათის გამომწვევი აღმოჩნდეს. ამდენად კომპანია მუდმივ მონიტორინგს უწევს და აფასებს რეპუტაციულ რისკებს, რათა მაქსიმალურად შეამციროს მათი დადგომის ალბათობა და შესაძლო შედეგები.

ხარისხის მართვა
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის ხარისხის მართვა მისი მმართველობითი საქმიანობის საკვანძო ნაწილია. ხარისხის სტანდარტების დაცვა, მონიტორინგი და გაუმჯობესება ტავ ჯგუფის პრიორიტეტია.


კომპანიის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ხარისხის პოლიტიკის მთავარი პუნქტები:

- მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ძიება მომსახურებასა და მიმდინარე პროცესებში;
- მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთან უმაღლესი ხარისხის სტანდარტის მისაღწევად;
- მომსახურების ეფექტურობის უწყვეტი ზრდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- პერსონლისთვის ტრენინგების ჩატარება ხარისხის მართვის სფეროში.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ბათუმის აეროპორტისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ორგანიზაციის ფარგლებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, რაც ქმნის უკეთეს სამუშაო გარემოს და ხელს უწყობს, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო რისკი თუ პირობები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანამშრომლებისა და მგზავრების ჯანმრთელობას.

კოვიდ-პანდემიის გავრცელებამ მოითხოვა მეტი აქცენტირება აღნიშნული პოლიტიკების სწორად, დროულად და მოქნილად განხორციელებაზე. სამოქალაქო ავიაციისა და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოს მიერ, აგრეთვე ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნების მიხედვით ყველა შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტი დროულად იქნა დანერგილი.



ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა პროცედურა, რაც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან, ზუსტად შესრულდა, რათა მგზავრები, სტუმრები და აეროპორტის პერსონალი დაცულნი ყოფილიყვნენ ნებისმიერი უბედური შემთხვევისაგან ან შეცდომისაგან.

მთავარ მიზანს წარმოადგენს სამუშაოს უსაფრთხო, პროდუქტიული და ხარისხიანი შესრულება.

2021 წლის დასრულებული პერიოდიდან მოყოლებული კომპანიას აქვს სავალდებულო პროგრამა, რომელსაც პრაქტიკაში ახორციელებს და ამასთანავე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო, რომელიც დაფუძნებულია ACI და AHA სტანდარტებზე და მასთან სრულ თანხვედრაშია.

სამართლებრივი საფუძვლები

კომპანია ინიციატივებს ახორციელებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით, იქნება ეს ტრენინგები, გადამზადება, ახალი პერსონალის დამატება შესაბამისობის მიმართულებით და სხვ.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც შედგენილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ და ამტკიცებს ადმინისტრაცია, განიხილება, იხვეწება და რეგულირდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ. პერსონალი ვალდებულია, მიაღწიონ იმ მიზნებს, რაც პოლიტიკაშია დასახული. ყველა დეპარტამენტს ეკისრება პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურად მიიღოს შესაბამისი ზომები და განახორციელოს საჭირო ღონისძიებები.

საერთაშრისო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისა სტანდარტების მონიტორინგი ხდება მუდმივ რეჟიმში, რათა კომპანია იყოს ახალ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან მუდამ თანხვედრაში.

SkyTrax დაჯილდოება

SkyTrax არის გავლენიანი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია, რომელიც იკვლევს და აფასებს მომსახურების ხარისხს აეროპორტებსა და ავიაკომპანიებში მთელს მსოფლიოში 1999 წლიდან. The World Airport Awards ეფუძნება 550 აეროპორტის შეფასებას 13 მილიონზე მეტი მგზავრის მიერ 106 სხვადასხვა ეროვნების გარშემო, მსოფლიოს მასშტაბით. გამოკითხვის ფარგლებში, მგზავრები აფასებენ აეროპორტის მომსახურებას.

ამსტერდამში გამართულ Skytrax World Airport Awards 2023-ზე, TAV Georgia-ს მიერ მართული ორივე აეროპორტი (თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები) აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო 10 აეროპორტს შორის დასახელდა.
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ამ კატეგორიაში პირველად მოხვდა.
მგზავრთა გამოკითხვის შედეგად ბუდაპეშტის, ტალინის, რიგის, ბუქარესტის, კიევის, ბრატისლავის, ბელგრადის, ზაგრების, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები აღმოსავლეთ ევროპის ათეულში მოხვდნენ.

დაჯილდოებაზე, TAV Airports, Groupe ADP-ის წევრი, ექვსი აეროპორტი მოხვდა საუკეთესო ათეულში. ჯილდოები გამოცხადდა ამსტერდამში სამგზავრო ტერმინალ EXPO-ზე, სადაც შეიკრიბა 10,000-ზე მეტი ინდუსტრიის წარმომადგენელი 130 ქვეყნიდან.

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ბათუმის აეროპორტი მოწოდებულია, ბიზნესსაქმიანობა განახორციელოს ეთიკური და სოციალური ნორმების დაცვით ანუ იმგვარად, რომ რაიმე ზიანი არ მიადგეს გარემოს. გარემოსდაცვით პოლიტიკა დაფუძნებულია ოთხ მთავარ ასპექტზე:

კანონმორჩილება - ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ყველა მოქმედი ადგილობრივი, სახელმწიფო თუ საერთაშირისო სტანდარტი, ასევე, ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ჩვენი აზრით შეესაბამება ჩვენს საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ ასპექტებს. ჩვენ ვნერგავთ და ვახორციელებთ პროგრამებსა და პროცედურებს, რაც ადასტურებს ჩვენს მორჩილებას ამგვარი კანონებისა და სტანდარტების მიმართ. ამასთანავე, ვინარჩუნებთ იმავე მოთხოვნებსა და სტანდარტებს ყველა ჩვენს ბიზნეს პარტნიორსა და კონტრაგენტთან, ვისთანაც გვაქვს ბიზნეს ურთიერთობა.

პრევენცია - კომპანიის სტანდარტია, მანამ მივიღოთ გარემოს დაბინძურების აღმკვეთი ზომები, სანამ საფრთხე რეალური გახდება. ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების დასახვით, რაც აუმჯობესებს გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებელს. ჩვენ ვითვალისწინებთ გარემოს ფაქტორებს დაგეგმვის, შესყიდვების ან გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ინფორმირებულობა - გარემოს დაცვის პოლიტიკას ვაცნობთ პერსონალს, კონტრაქტორებს და მომწოდებლებს, რათა დავარწმუნოთ ისინი, რომ ვზრუნავთ გარემოზე. შესაბამისი ტრეინინგები უტარდება ყველა თანამშრომელს, რათა ისინი მუდმივად იყვნენ ინფორმირებულები იმ პასუხისმგებლობების შესახებ, რაც გვეკისრება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით.

მუდმივი გაუმჯობესება - ჩვენ შევაფასებთ და მუდმივად სრულვყოფთ ჩვენი გარემოს მართვის სისტემის ეფექტურობას პერიოდული აუდიტების და მართვის სისტემის შემოწმების ჩატარებით ასევე, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დასახული მიზნების მიღწევით. გარემოს მართვის პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. სათაო ოფისის მიერ ხდება აღნიშნული პოლიტიკების მუდმივი განახლება და სიახლეების დანერგვა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ჩვენს საქმიანობასა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვოთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

კომპანიის შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის და სავალდებულოა მასზე ხელმოწერილი თანხმობით, არეგულირებს კომპანიის მიერ დანერგილ მიდგომებსა და წესებს ამ მიმართულებით.

დივერსიციკაციის პოლიტიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას და აფასებს განსხვავებებს, რომლებიც მრავალფეროვანმა სამუშაო ძალებმა მოუტანა ორგანიზაციას. კომპანიის როგორც რიგით თანამშრომელთა, ასევე მმართველობითი რგოლის წარმომადგენელთა შემადგენლობა არის მრავალფეროვანი ეთნიკური წამრომადგენლობისა.

ჩვენი კომპანია არის რეგიონალური [TAV Holding] და გლობალური [Group ADP] ბიზნეს ჯგუფების წევრი, სადაც ერთადერთი კრიტერიუმი თანამშრომელთა შესაფერის პოზიციაზე დანიშვნასა და დაწინაურებისთვის არის კომპეტენცია და ცოდნა.

სოციალური და დასაქმების პოლიტიკა

კომპანიის თითოეული თანამშრომელი საკუთარ როლს თამაშობს საერთო წარმატებასა და მგზავრთათვის ხარისხიანი მომსახურეობის მიწოდებაში. თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდნეობა 2022 წელს იყო 211 (2021: 178). კომპანიამ პანდემიის პირობებშიც მაქსიმალურად შეზღუდა თანამშრომელთა დათხოვნა და წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, მიუხედავად ტემრინალის პრაქტიკულად დახურულ რეჟიმში ყოფნისა, ხელფასებს გასცემდა, როოგრც ჩვეულებრივ.

კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს დასაქმების ყველა აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფ,ს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

აეროპორტის ნახშირბადის აკრედიტაცია

2022 წელს, ისტორიაში პირველად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა დაიწყო 2023 წლისთვის აეროპორტის ნახშირბადის აკრედიტაციის მიღების პროცესი. Airport Carbon Accreditation არის ერთადერთი ინსტიტუციურად დამტკიცებული, გლობალური ნახშირბადის მართვის სერტიფიცირების პროგრამა აეროპორტებისთვის. ის დამოუკიდებლად აფასებს და აღიარებს აეროპორტების ძალისხმევას ნახშირბადის გამონაბოლქვის მართვისა და შემცირების მიზნით, სერტიფიცირების 6 დონის მეშვეობით: „რუკა“, „შემცირება“, „ოპტიმიზაცია“, „ნეიტრალიტეტი“, „ტრანსფორმაცია“ და „გადასვლა“.

ამ ეტაპზე, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ცდილობს მიიღოს 1-ლი და მე-2 დონის აკრედიტაცია 2023 წელს.

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბათუმის აეროპორტი“

შინაარსი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9-33

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 9
4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა 21
5. მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება 22
6. შემოსავალი 23
7. საოპერაციო ხარჯები 23
8. ძირითადი საშუალებები 24
9. საინვესტიციო ქონება 25
10. სავაჭრო მოთხოვნები 25
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 26
12. კაპიტალი 26
13. სავაჭრო ვალდებულებები 26
14. მიღებული ავანსები 26
15. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 27
16. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხი 27
17. პირობითი ვალდებულებები 28
18. გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან 29
19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა 30
20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 33

მენეჯმენტის რეპორტი 34-46

შპს „ბათუმის აეროპორტი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბათუმის აეროპორტის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებებს ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 16 ოქტომბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბათუმის აეროპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი' (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებისა ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო, ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში არსებითი შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი ამ პასუხისმგებლობებზე დაყრდნობით.

მმართველობის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მომზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამავე კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გამოკითხვებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და მოხსენებული ინფორმაციის შედარებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, აგრეთვე გადაანგარიშებებით, შედარებებითა და რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

შოთა ნანიტაშვილი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2023 წლის 16 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს ბათუმის აეროპორტი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2022	2021 (გადაანგარიშებული)*
შემოსავალი	6	35,569	31,369
საოპერაციო ხარჯები	7	(5,767)	(5,398)
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(5,438)	(3,298)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,424)	(8,031)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		**13,940**	**14,642**
საპროცენტო შემოსავალი	11	237	269
საპროცენტო ხარჯი	15, 16	(482)	(1,313)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(875)	925
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**12,820**	**14,523**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**12,820**	**14,523**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**12,820**	**14,523**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და კომპანიის მენეჯმენტის სახელით ხელი მოეწერა 2023 წლის 16 ოქტომბერს:

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ბათუმის აეროპორტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021 (გადაანგარიშებული)*	31 დეკემბერი, 2020 (გადაანგარიშებული)*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	46,322	53,452	55,723
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		-	-	74
საინვესტიციო ქონება	9	497	497	497
აქტივის გამოყენების უფლება	15	2,555	3,109	3,663
არამატერიალური აქტივები		191	4	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		**49,565**	**57,062**	**59,963**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		609	554	419
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,634	2,377	701
გადახდილი ავანსები		166	182	187
სხვა აქტივები		-	-	791
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	10,610	6,827	2,361
სულ მიმდინარე აქტივები		**14,019**	**9,940**	**4,459**
სულ აქტივები		**63,584**	**67,002**	**64,422**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	848	848	848
გაუნაწილებელი მოგება	12	57,629	55,913	41,390
სულ კაპიტალი		**58,477**	**56,761**	**42,238**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	15	2,362	2,924	3,441
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	16	-	4,744	9,870
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,362**	**7,668**	**13,311**
მიმდინარე ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	15	562	517	477
სავაჭრო ვალდებულებები	13	1,724	1,566	8,337
მიღებული ავანსები	14	75	68	59
სხვა ვალდებულებები		384	422	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,745**	**2,573**	**8,873**
სულ ვალდებულებები		**5,107**	**10,241**	**22,184**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**63,584**	**67,002**	**64,422**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯეჯერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ბათუმის აეროპორტი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (წინა შეფასებით)	**848**	**41,528**	**42,376**
კორექტირების ეფექტი		(138)	(138)
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	**848**	**41,390**	**42,238**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)*	–	14,523	14,523
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	**848**	**55,913**	**56,761**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	12,820	12,820
დივიდენდები		(11,104)	(11,104)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**848**	**57,629**	**58,477**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს ბათუმის აეროპორტი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2022	2021 (გადაანგარიშებული)*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		**12,820**	**14,523**
არაფულადი კორექტირება დასატყვრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესამამისობაში მოყვანის მიზნით			
		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		10,424	8,031
ჩამოწერილი ინვენტარის ხარჯი		110	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი		271	300
საკურსო სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა		875	(925)
საპროცენტო ხარჯი	15, 16	481	1,313
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე	11	(237)	(269)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**24,744**	**22,973**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(226)	(135)
(ზრდა)/კლება სავაჭრო მოთხოვნებში		(903)	(2,040)
(ზრდა)/კლება სხვა აქტივებში		-	774
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში		16	79
ზრდა/(კლება) სავაჭრო გადასახდელებში		269	(6,771)
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში		7	9
ზრდა/(კლება) სხვა ვალდებულებებში		(38)	440
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		**(875)**	**(7,644)**
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**23,869**	**15,329**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	11	237	269
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(2,632)	(5,203)
არამატერიალური ძირითადი საშუალებების შეძენა		(114)	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,509)**	**(4,934)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(11,104)	-
დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხის დაფარვა	16	(4,555)	(14,174)
შემოსავალი დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხიდან	16	-	9,385
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, პროცენტი	15	(351)	(405)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, ძირი	15	(517)	(477)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(16,527)**	**(5,671)**
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,050)	(258)
წლის ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა, წმინდა		**3,783**	**4,466**
ფულისა და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	6,827	2,361
ფულისა და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	**10,610**	**6,827**

*გადაანგარიშების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

მენეჯმენტის სახელით:

მურათ ჯევჰერი
უფლებამოსილი წარმომადგენელი
2023 წლის 16 ოქტომბერი

9-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2000 წლის 15 ივნისს. „კომპანია“ რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, № 220. კომპანიის 100% წილის მფლობელია სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2007 წლის 9 აგვისტოს სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ (შემდგომში „ტავ ბათუმი“) შორის გაფორმებული წილის მართვის ხელშეკრულების თანახმად, და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ივლისის № 377 განკარგულებით განისაზღვრა „კომპანიის“ 100% წილის 20 წლის მართვის უფლების გადაცემა შპს „ტავ ბათუმისთვის“. ხელშეკრულების თანახმად „ტავ ბათუმს“ აქვს უფლება მიიღოს „კომპანიის“ მიერ გაცემული საოპერაციო შემოსავლებისგან მიღებული დივიდენდები.

„კომპანია“ ეწევა შემდეგ საქმიანობას: საავიაციო მომსახურება, სახმელეთო მომსახურება, საპერონე მომსახურება, ავტოსადგომის მომსახურება, კონცესიის შემოსავალი, ფართის განაწილება, და სხვ.

„ტავ ბათუმის” მფლობელობის სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთია:

	2022	2021
TAV Havalimanlari Holding A.S.	76.00%	76.00%
Aeroser International Holding (U.K.) Limited	24.00%	24.00%
სულ	**100.00%**	**100.00%**

„ტავ ბათუმის” საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Aéroports de Paris.

2. მომზადების საფუძველი

„კომპანიის” წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში. ყველა თანხა, თუ სხვაგვარად არაა მითითებული, დამრგვალებულია უახლოეს მეათასედამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულს ან ფულის ეკვივალენტს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.
ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოური ვალუტები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაცაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

შემოსავალი და სხვა შემოსავალი

(i) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიაში“ ეკონომიკური სარგებელის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის ხდება ფულადი სახსრების მიღება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. „კომპანიამ“ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის ყველა შეთანხმებაში იგი პრინციპალად გამოდის. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს ქვემოთ აღწერილი აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

შემოსავლების ტიპების უმრავლესობის აღიარება ხდება კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. „კომპანიას“ ძირითადად შემოსავლის შემდეგი ტიპები აქვს (მე-6 შენიშვნა):

ავიამომსახურების შემოსავალი და სახმელეთო მომსახურება

ავიამომსახურებიდან შემოსავლის და სახმელეთო მომსახურების აღიარება ხდება დაკავშირებული ავიაკომპანიების ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე, რომლებშიც ასახულია კლიენტების მიერ გადახდილი სატერმინალო მომსახურების ღირებულება, ასევე თვითმფრინავის მიერ გამოყენებული ტრაპისა და ავიაკომპანიების მიერ გამოყენებული მგზავრთა რეგისტრაციის პუნქტის შესახებ ინფორმაცია. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან

შემოსავალი ფართობის განაწილებიდან აღიარდება დროის განმავლობაში. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გავლით და „კომპანია“ ყოველთვიურად აღიარებს შემოსავალს აეროპორტის განაწილებულ ტერიტორიებზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ინვოისების გაცემისთანავე. შემოსავალი ფართობის განაწილებიდან წარმოადგენს შემოსავალს საოპერაციო იჯარიდან და აღირიცხება

იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. განაწილების მეთოდი ყველაზე უკეთ ასახავს კონტრაგენტის მიერ ფართობის რეალურ გამოყენებას.

შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან და საკონცესიო მოსაკრებლიდან

შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან და საკონცესიო მოსაკრებლით მიღებული შემოსავალი დაუბეგრავი მაღაზიებიდან და საკვები სივრცეებიდან აღიარებას ექვემდებარება დროის განმავლობაში. შესასრულებელი მოვალეობა კმაყოფილდება დროის გასვლის კვალდაკვალ და „კომპანია“ შემოსავალს აღარებს ყოველთვიურ ჭრილში მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ინვოისების გაცემისთანავე. ლაუნჯის მომსახურებისა და საკონცესიო მოსაკრებელი წარმოადგენს დადგენილი ფართობის დათმობით მიღებულ საკომისიო შემოსავალს. შემოსავალი მიიღება კონტრაქტით განსაზღვრულ, წინასწარ შეთანხმებულ საკომისიო განაკვეთზე კონცესიების ყოველთვიური გაყიდვების მოცულობის საფუძველზე.

შემოსავალი პარკირების ოპერაციებიდან

ავტოსადგომის და სხვა დამატებითი მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება კონკრეტულ მომენტში, სახმელეთო მომსახურების პერსონალისგან და ავიაკომპანიებისგან მიღებული ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გამოყენების (დაშვება და აფრენა), ავტოსადგომის, საპერონე, ტაქსისა და თვითმფრინავების მიერ მოხმარებული სხვა მომსახურების შესახებ. თითოეული კონკრეტული მომსახურების გაწევა განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

(ii) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება საპროცენტო შემოსავალში და სხვა ფინანსურ შემოსავალში.

გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. „კომპანიის“ მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც მოთხოვნები და გადასახდელები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის მოთხოვნებისა და გადასახდელების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადს და აქტივის დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანის, ასევე ბათუმის აეროპორტის განვითარებისა და გაუმჯობესების პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება საიჯარო ქონების გაუმჯობესების სახით ძირითადი საშუალებების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის ნაწილის ცვეთის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის წრფივი მეთოდით მისი სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე, ან კონცესიის ხელშეკრულების ვადაზე, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა ცალკე ირიცხება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	5-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-15 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-20 წელი

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარების შემდგომ, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს სტანდარტის ბასს 16 *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარების შემდგომ, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს გარიგების დანახარჯებს სტანდარტის ბასს 16 *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონების მუხლიდან გადატანა ან ამ მუხლში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის პირობითი ღირებულება არის საბალანსო ღირებულება ექსპლუატაციაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, „კომპანია“ ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად ექსპლუატაციაში ცვლილების თარიღამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. „კომპანია“ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც „კომპანიამ“ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება სტანდარტით ფასს 15 მიხედვით განსაზღვრული გარიგების ფასით.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე.
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

„კომპანია“ ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს-მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

„კომპანიამ“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. „კომპანია“ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, „კომპანია“ ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მნიშვნელოვან კლიენტებთან კომპანია ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს და ანარიცხების მატრიცით, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

„კომპანია“ ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, „კომპანიამ“ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ „კომპანია“ სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ ფლობს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებსა და სხვა აქტივებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების გაუქმება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- „კომპანიამ“ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და (ა) „კომპანიამ“ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; ან (ბ) „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ „კომპანიამ“ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ „კომპანიამ“ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, „კომპანია“ აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში „კომპანია“ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება „კომპანიის“ მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა „კომპანიას“ დასჭირდეს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, აღებული სესხები, გადასახდელები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და აღებული სესხებისა და გადასახდელების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო გადასახდელებს, სხვა ვალდებულებებსა და სხვა გრძელვადიან გადასახდელებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, გათიშლდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის სურვილი, ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

(iv) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

„კომპანია“ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

„კომპანია“ იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტი დგინდება კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, „კომპანიამ" განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის „კომპანია" აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, „კომპანია" აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია" გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება „კომპანიის" ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, მოიცავს პერიოდს 2027 წლამდე, ანუ კონცესიის ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღამდე.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფული და ფული ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

იჯარა

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს „კომპანია" აფასებს, წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა ის იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა ის კონკრეტულ აქტივებზე, „კომპანია" იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება. ამდენად, „კომპანიამ"არჩია ფასს 16-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა. „კომპანია" მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს გამარტივებული მეთოდით აღრიცხავს.

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება, იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.
„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

„კომპანია“ აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით. აქტივის გამოყენების უფლების თავდაპირველი შეფასება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- იჯარის დაწყების თარიღით ან ამ თარიღამდე (იჯარის წინასწარ გადახდა) შესრულებულ საიჯარო გადახდებს გამოკლებული მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წამახალისებელი გადახდები;
- მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, განკარგვასთან და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში გაუფასურება ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა თანხვედრაშია ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადებთან. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება ცვეთას.

იჯარის დაწყების თარიღისთვის „კომპანია“ აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები მოიცავს შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასს, რაზედაც არსებობს კომპანიის მიერ შესყიდვის გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილ ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზაციას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად „კომპანია“ იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის პარალელურად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

წინა წლის კორექტირებები

2022 წელს, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ინფორმაცია არ იყო სათანადოდ წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 8-ის" სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება დაკორექტირებულია შემდეგნაირად:

1. **იჯარის ხელშეკრულების გადაანგარიშება:** ფასს 16 მოითხოვს , რომ მოიჯარემ იჯარის ვალდებულებების შეფასებაში შეიტანოს არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდები, რადგან ისინი გარდაუვალია და ეკონომიკურად არ განსხვავდება ფიქსირებული საიჯარო გადასახდელებისგან. კომპანია იჯარით გასცემს მიწებს, ტერმინალის შენობას და სხვა ქონებას. ანაზღაურება, გარდა ფიქსირებული იჯარის ხარჯისა, ასევე მოიცავს ისეთ ნაწილს, რომელიც გამოითვლება კომპანიის საქმიანობის შედეგის მიხედვით, თუმცა, ის შეიცავს მინიმალურ წლიურ გადასახადს. ხელმძღვანელობამ განიხილა ეს გადასახადი, როგორც ცვლადი საიჯარო ხარჯი, რომელიც მიბმულია საიჯარო აქტივის მომავალი საქმიანობის შედეგებთან და აღიარა ის, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, რაც არის გადახრა ფასს 16-დან. წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ეს საკომისიოები შეცდომით გამოირიცხა საიჯარო გადახდებიდან, რამაც გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების არასწორი გაანგარიშება.

2. **ძირითადი საშუალებების ცვეთის გადაანგარიშება**: 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა, იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება, ავეჯი და აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წლის აპრილში, ამორტიზირდებოდა იმაზე მეტი პერიოდით, ვიდრე საიჯარო ხელშეკრულების ვადაა. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"-სთან დადებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად შპს „ბათუმის აეროპორტი" ვალდებულია დაუბრუნოს ყველა აქტივი (მათ შორის, ნებისმიერი გაუმჯობესება და დამატება) უსასყიდლოდ, 2027 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით. ვინაიდან შპს „ბათუმის აეროპორტის" მიერ მიღებული ყველა პოტენციური ეკონომიკური სარგებელი არის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, ზემოხსენებული ძირითადი საშუალებები უნდა იყოს გაცვეთილი 2027 წლამდე. ეს შეცდომა გასწორდა რეტროსპექტულად და შესაბამისად გასწორდა მოგება-ზარალის ანგარიშგება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირების შედეგები შემდეგია:

	კორექტირებამდე	კორექტირება #1	კორექტირება #2	დაკორექტირებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ძირითადი საშუალებები	55,326	-	(1,874)	53,452
აქტივის გამოყენების უფლება	1,653	1,456	-	3,109
სულ აქტივები	**67,420**	**1,456**	**(1,874)**	**67,002**
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	1,467	1,457	-	2,924
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**6,211**	**1,457**	**-**	**7,668**
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	290	227	-	517
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**2,346**	**227**	**-**	**2,573**
სულ ვალდებულებები	**8,557**	**1,684**	**-**	**10,241**
გაუნაწილებელი მოგება	58,015	(228)	(1,874)	55,913
სულ კაპიტალი	**58,863**	**(228)**	**(1,874)**	**56,761**
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საოპერაციო ხარჯები	(5,798)	400	-	(5,398)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,842)	(315)	(1,874)	(8,031)
საპროცენტო ხარჯი	(1,138)	(175)	-	(1,313)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**16,487**	**(90)**	**(1,874)**	**14,523**
ფულადი ნაკადების ანგარიშგება				
ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	16,487	(90)	(1,874)	14,523
ცვეთა და ამორტიზაცია	5,842	315	1,874	8,031
საპროცენტო ხარჯი	1,138	175	-	1,313
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	**22,573**	**400**	**-**	**22,973**
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	**14,929**	**400**	**-**	**15,329**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, პროცენტი	(208)	(197)	-	(405)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა, ძირი	(274)	(203)	-	(477)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(5,271)**	**(400)**	**-**	**(5,671)**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირების შედეგები შემდეგია:

	კორექტირებამდე	კორექტირება #1	დაკორექტირებუ-ლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
აქტივის გამოყენების უფლება	1,892	1,771	3,663
სულ აქტივები	**62,651**	**1,771**	**64,422**
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	1,726	1,715	3,441
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**11,596**	**1,715**	**13,311**
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	283	194	477
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**8,679**	**194**	**8,873**
სულ ვალდებულებები	**20,275**	**1,909**	**22,184**
გაუნაწილებელი მოგება	41,528	(138)	41,390
სულ კაპიტალი	**42,376**	**(138)**	**42,238**

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

მიმდინარე წელს ძალაშია საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტების შემდეგი შესწორებები, რომლებიც სავალდებულო ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

- შესწორებები ფასს 3 სტანდარტში მოცემულ მითითებებში კონცეპტუალურ ჩარჩოზე
- შესწორება სტანდარტში ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ - შემოსავალი დაგეგმილ გამოყენებამდე
- შესწორება სტანდარტში ბასს 37 „დამამძიმებელი კონტრაქტები“ - კონტრაქტის შესრულების ღირებულება
- ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ცვლილება ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმების შეფასებისას „10 პროცენტის“ გამოყენების პროცესში.
- ფასს 16 - იჯარა - იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესების ანაზღაურების თვალსაჩინოება.
- ბასს 41 - სოფლის მეურნეობა - გადასახადებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების შეფასება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ბოლომდე ძალაში არ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამის სამსახურს არ დაუმტკიცებია:

ფასს 17 (ფასს 17-ის 2020 წლის ივნისისა და 2021 წლის დეკემბრის შესწორებათა ჩათვლით)	სადაზღვევო კონტრაქტები
შესწორებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28	აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის ასოცირებულ პირს ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ	სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
შესწორებები სტანდარტში ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტში ბასს 12	ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
შესწორება სტანდარტში ბასს 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვა-უკუიჯარის ტრანზაქციაში
შესწორება სტანდარტში ბასს 1	გრაძელვადიანი, დათქმით აღებული ვალდებულებები

კომპანიის დირექტორთა საბჭო არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

5. მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება

„კომპანიის" ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. „კომპანიამ" თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა, არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება „კომპანიის" კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიმდინარე გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ „კომპანიის" ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს „კომპანიის" ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს.

ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და „კომპანიას" დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საქართველოს კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, არ არის იმდენად დახვეწილი, რომ კონცესიის ხელშეკრულების ყველა იურიდიული თუ საგადასახადო ასპექტის შესახებ გვთავაზობდეს დეტალურ მითითებებს. რისკის შესამცირებლად, კომპანიის მენეჯმენტმა მოიპოვა წინასწარი საგადასახადო დასკვნა, რომელიც ორაზროვან ასპექტებს ეხება და გარკვეული დამცავი მექანიზმები გაითვალისწინა კონცესიის ხელშეკრულებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სათანადოდ განმარტავს შესაბამის კანონმდებლობას და რომ „კომპანიის" საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული შეფასებები უცვლელი დარჩება.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი

ყოველ საანგარიშგებო თარიღში კომპანია აფასებს, ხომ არ არსებობს იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. ზარალის რეზერვი აღიარდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივმა გაუფასურების ზარალი განიცადა, მისი საბალანსო ღირებულება ანარიცხების ანგარიშზე მცირდება და ზარალის ოდენობა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

მენეჯმენტის აზრით, სავაჭრო მოთხოვნის შესაძლო ანარიცხის რეკომენდებული ოდენობაა 571 ლარი (2021: 300 ლარი) (შენიშვნა 10).

6. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი ავიამომსახურებიდან	16,674	14,776
შემოსავალი სახმელეთო მომსახურებიდან	10,323	10,183
დაუბეგრავი სავაჭრო მაღაზიების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	5,132	4,109
შემოსავალი ფართის იჯარიდან	1,664	843
საკვები და სასმელი პროდუქტებით ვაჭრობის სივრცეების კონცესიის საკომისიო მოსაკრებელი	745	396
სარეკლამო შემოსავალი	321	139
შემოსავალი ლაუნჯის მომსახურებიდან	255	319
შემოსავალი ავტომანქანების პარკირების მომსახურებიდან	212	162
სხვა შემოსავალი	243	442
სულ შემოსავალი	**35,569**	**31,369**

ხელშეკრულების ნაშთები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	2,634	2,377
სახელშეკრულებო ვალდებულებები:		
- მიღებული ავანსები (მე-14 შენიშვნა)	75	68
- მიღებული დეპოზიტები და გარანტიები (მე-13 შენიშვნა)	871	840

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის ზრდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, გამოწვეული იყო 2022 წლის განმავლობაში შემოსავლის ზრდით.

7. საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	933	750
საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება	900	938
უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება	821	809
დაზღვევა	647	546
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	547	573
ავიადისპეტჩერული მომსახურება	456	378
კომუნალური ხარჯები	426	369
სავაჭრო მთხოვნების და სხვა აქტივების გაუფასურება	271	300
საწვავ-საცხები მასალები	138	69
იჯარა	88	64
კომუნიკაციის და საკანცელარიო საქონლის ხარჯები	79	53
სარეკლამო ხარჯები	11	-
სხვა ხარჯები	450	549
სულ საოპერაციო ხარჯები	**5,767**	**5,398**

8. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	ავტო-ტრანსპორტი	ავეჯი და აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	**48**	**452**	**1,114**	**1,732**	**4,915**	**51,217**	**59,478**
დამატება	-	49	74	-	57	5,023	**5,203**
გადატანა	15,931	-	1,517	21,711	16,949	(56,108)	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	**15,979**	**501**	**2,705**	**23,443**	**21,921**	**132**	**64,681**
დამატება	-	540	124	967	809	268	**2,708**
გადატანა	-	-	-	122	278	(400)	-
რეალიზაცია	-	(32)	(4)	-	(4)	-	**(40)**
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	**15,979**	**1,009**	**2,825**	**24,532**	**23,004**	**-**	**67,349**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	**34**	**228**	**759**	**738**	**1,996**	**-**	**3,755**
წლიური დარიცხვა	1,880	29	302	2,695	2,568	-	**7,474**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	**1,914**	**257**	**1,061**	**3,433**	**4,564**	**-**	**11,229**
წლიური დარიცხვა	2,504	90	349	3,630	3,261	-	**9,834**
რეალიზაცია	-	(32)	(1)	-	(3)		**(36)**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	**4,418**	**315**	**1,409**	**7,063**	**7,822**	**-**	**21,027**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული, მე-3 შენიშვნა)	**14,065**	**244**	**1,644**	**20,010**	**17,357**	**132**	**53,452**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	**11,561**	**693**	**1,416**	**17,469**	**15,182**	**-**	**46,322**

9. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი 34,505 მ² და „ჯომპანია" მისგან საიჯარო შემოსავალს იღებს. საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით.

ქონების საბაზრო მეთოდით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ერთ კვ/მ-ზე მერყეობს 0.12 ლარსა და 0.2 ლარს შორის. შემოსავალმა საინვესტიციო ქონების იჯარიდან შეადგინა 18 ლარი (2021 წელს: 22 ლარი).

10. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიმდინარე ნაწილი		
სავაჭრო მოთხოვნები	3,205	2,677
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(571)	(300)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**2,634**	**2,377**

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მისი დაფარვის ვადა, როგორც წესი, 30-60 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2022	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული <30 დღე	<90 დღე	ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 90-360 დღე
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე, სულ	3,205	1,795	57	270	1,083
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი		0%	0%	0%	53%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(571)	-	-	-	(571)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,634**	**1,795**	**57**	**270**	**512**

2021	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული <30 დღე	<90 დღე	ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 90-360 დღე
მთლიანი შეფასებული მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე, სულ	2,677	1,502	70	469	636
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი		0%	0%	0%	47%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(300)	-	-	-	(300)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**2,377**	**1,502**	**70**	**469**	**336**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უმსხვილესი დებიტორია უკრაინული ავიაკომპანია „იანაირი". 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ კომპანიის მიმართ მოთხოვნები შეადგენდა 540 ლარს.

2022 წლის 24 თებერვალს, მოხდა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია და ორ ქვეყანას შორის დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი. აღნიშნული გარემოებების გამო, უკრაინულმა ავიაკომპანიამ ბათუმის აეროპორტში ფრენები შეწყვიტა. მენეჯმენტმა გადააფასა აღნიშნული მოთხოვნის საკრედიტო რისკი და შექმნა ზარალის რეზერვი 361 ლარის ოდენობით.

	სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი
რეზერვი 31 დეკემბერი 2021	300
გაუფასურების ზარალი	271
რეზერვი 31 დეკემბერი 2022	**571**

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	10,605	6,821
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	5	6
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**10,610**	**6,827**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შედგება ეროვნულ ვალუტაში განთავსებული 1,338 ლარისა და უცხოურ ვალუტაში – 9,267 ლარის მიმდინარე ანგარიშებისგან, (31 დეკემბერი 2021: 1,038 ლარი და 5,783 ლარი, შესაბამისად).

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი, რომელმაც 2022 წელს შეადგინა 237 ლარი (2021: 269 ლარი).

12. კაპიტალი

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის" საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 848 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას" ჰქონდა 57,629 ლარის გაუნაწილებელი მოგება (31 დეკემბერი 2021: 55,913 ლარი და 31 დეკემბერი 2020: 41,390 ლარი).

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 11,104 ლარის ოდენობით შესაბამისი გადასახადების ჩათვლით. (2021: 0 ლარი)

13. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული დეპოზიტები და გარანტიები (ა)	871	840
გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ (ბ)	572	461
აეროპორტის მომსახურებებში გადასახდელი თანხები	281	265
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**1,724**	**1,566**

(ა) მიღებული დეპოზიტები და გარანტიები წარმოადგენს „კომპანიის" კლიენტების მიერ განთავსებულ საგარანტიო შენატანებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში საქმიანობის დაწყებისას. ეს შენატანები ექვემდებარება დაბრუნებას მაშინ, როდესაც კლიენტი გადაწყვეტს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გასვლას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

(ბ) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელები დაკავშირებული მხარეების მიმართ წარმოდგენილია გადასახდელებით მიღებული მომსახურების სანაცვლოდ.

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს ავიაკომპანიების მიერ წინასწარ გადახდილ ავიამომსახურების საფასურს და ფართის განაწილებისათვის მიღებულ ავანსებს და უტოლდება 75 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 68 ლარი).

15. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

აქტივის გამოყენების უფლება	შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობები და შესაბამისი მიწის ნაკვეთი
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2020	4,771
31 დეკემბერი 2021	4,771
31 დეკემბერი 2022	**4,771**
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	**1,108**
წლის დარიცხვა	554
31 დეკემბერი 2021	**1,662**
წლის დარიცხვა	554
31 დეკემბერი 2022	**2,216**
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	3,663
31 დეკემბერი 2022	3,109
31 დეკემბერი 2021	2,555

	საიჯარო ვალდებულება		
	2022	**2021**	**2020**
1 იანვარს	**3,441**	**3,918**	**4,359**
საპროცენტო ხარჯი	351	405	456
პროცენტის გადახდა	(351)	(405)	(456)
ძირის გადახდა	(517)	(477)	(441)
31 დეკემბერს	**2,924**	**3,441**	**3,918**
მიმდინარე	562	517	477
გრძელვადიანი	2,362	2,924	3,441

16. დაკავშირებული მხარისგან აღებული სესხი

2020 წლის ბოლოს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას დაკავშირებულ მხარესთან, შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“ 2025 წლის 31 დეკემბრამდე 7 მილიონი აშშ დოლარის ლიმიტით, წლიური 6.9 საპროცენტო განაკვეთით. საკრედიტო ხაზის ფარგლებში კომპანიამ 2021 და 2020 წლების განმავლობაში აითვისა 2.8 მილიონი აშშ დოლარი და 3 მილიონი აშშ დოლარი შესაბამისად. სესხის აღების მიზეზი იყო აეროპორტის გაფართოების პროექტის დაფინანსება. 2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ სრულად დაფარა სასესხი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია აღებული სესხების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა წლის განმავლობაში.

	აღებული სესხები	
	2022	**2021**
1 იანვარი	**4,744**	**9,870**
მიღებული სესხი	-	9,385
გადახდა	(4,555)	(14,174)
საპროცენტო ხარჯი	130	1,165
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია	-	(257)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(319)	(1,245)
31 დეკემბერი	**-**	**4,744**

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – „კომპანია“ როგორც მოიჯარე

„კომპანიას“ აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“, რომლის მიხედვითაც „კომპანიას“ გადაეცა ქონება იჯარით ნებადართული სარგებლობისათვის. საკუთრების უფლება იჯარის ხელშეკრულების აქტივებზე ეკუთვნის საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას, ხოლო „კომპანია“ ამ აქტივებს მართავს იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად. იჯარის საფასურის სახით „კომპანია“ აეროპორტების გაერთიანებას გადახდილ ქონებისა და მიწის გადასახადს უნაზღაურებს.

სამართლებრივი დავები

2022 და 2021 წლის 31 დემებრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული არცერთ მნიშვნელოვან სამაართლებრივ დავებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგები არ იქნება და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივი განვითარების ეტაპზეა და შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა და ხშირად იცვლება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ „კომპანიის“ ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს „კომპანიის“ ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო ორგანოს მხრიდან შემოწმებისთვის საგადასახადო პერიოდები ღიაა 3 წლის ვადით. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და „კომპანიას“ დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება უფრო მეტი რისკებით ვიდრე განვითარებული ბაზრები. ისეთი რისკები, როგორებიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება.

აშშ-ს სანქციები

რუსეთის, ბელორუსისა და ირანის წინააღმდეგ აშშ-ის მთავრობის სანქციების ფარგლებში, ჰოლდინგმა - TAV Holding Group-მა 2023 წლის იანვარში მიიღო წერილი აშშ-ს მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროდან ("BIS"), კერძოდ, ექსპორტის აღსრულების ოფისიდან ("OEE"). წერილში ნახსენებია შეერთებულ შტატებში მოქმედი სანქციების რეჟიმის მარეგულირებელი ჩარჩო, განსაკუთრებით ექსპორტის ადმინისტრირების რეგულაციებთან ("EAR") კავშირში, ჩამოთვლილია ის თვითმფრინავები, რომლებიც ექცევა აღნიშნული სანქციების მოქმედების ქვეშ (თვითმფრინავი, რომელიც შეიცავს მინიმუმ 25%-ს ამერიკული წარმოების კომპონენტებს და ექსპლუატაციაშია რუსული, ბელორუსული და ირანული ავიახაზების მიერ) და ავალდებულებს TAV-ს შეაფასოს მომსახურების გაწევის რისკები იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებიც ოპერირებენ თურქეთისა და საქართველოს საჰაერო სივრცეში.

შედეგად, TAV Holding-მა და Groupe ADP-მა დაავალეს Hogan Lovells-ს, შეეფასებინა ჯგუფის პოტენციური სამართლებრივი რისკები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია 2023 წლის იანვარში აშშ-ს მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროდან ("BIS") წერილით მიღებულ მითითებებთან.

- იმ სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, რომელიც ტავ ჰოლდინგმა მიიღო Hogan Lovells-ისგან, კომპანიას არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ BIS ამ დროისთვის აპირებს ბათუმის აეროპორტის სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ჯარიმების დაწესებას, იმ პირობით, რომ TAV Holding დაუყოვნებლივ მიიღებს მოქმედებებს იანვრის წერილის დებულების შესაბამისად.
- კომპანიის გაუფასურების შემოწმება მოხდა 2023 წლის საწყისი ბიუჯეტის საფუძველზე და ბათუმის აეროპორტი შეესაბამება ამ ციფრებს განახლებულ პროგნოზში, კომპანია მიიჩნევს, რომ ახალი გაუფასურების ტესტები არ არის საჭირო.
- ბათუმის აეროპორტმა 2023 წლის თებერვლიდან შეაჩერა სახმელეთო მომსახურების გაწევა სანქცირებული საჰაერო ხომალდებისთვის, რომლებიც ოპერირებენ ავიაკომპანია Belavia-ს ფარგლებში.
- ამ პროცესში ჩართულია იურიდიული, შიდა აუდიტის, ოპერაციული და ფინანსური ჯგუფები. კომპანიამ შეაფასა და გაანალიზა ამ წერილის გავლენა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ გამოავლინა მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენა.

18. გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან

გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

„ტავ ბათუმი" „კომპანიის" 100% წილის მმართველია. TAV Havalimanlari Holding „ტავ ბათუმის" მშობელი კომპანიაა. ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა კომპანიები წარმოადგენენ TAV Havalimanlari Holding-ის კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს.

2022	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებულ მხარესთან მისაღები თანხა/(დავალიანება), წმინდა 31 დეკემბერი 2022
შპს „ეი თი იუ ჯორჯია" (ა)	5,140	–	399
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია" (ბ)	747	(2)	59
შპს „ტავ ჯორჯია ოპერეიშენს" (გ)	256	(205)	1
შპს „ტავ ურბან საქართველო" (დ)	45	(215)	-
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (ე)	-	(627)	(197)
TAV Bilisim Hizmetleri A.S., საქართველოს ფილიალი (ე)	27	(166)	20
HAVAS Havaalanlari Yer Hizmetleri A.S (ვ)	-	(36)	-
Havas Georgia (ვ)		(56)	-
„ტავ ბათუმი ოფერეიშენს" (ზ)	-	(26)	-
„ტავ ჰოლდინგი" (თ)	-	(532)	(191)
„Havas Latvia" (ვ)	-	(375)	-
სულ	**6,215**	**(2,240)**	**91**

2021	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებულ მხარესთან მისაღები თანხა/(დავალიანება), წმინდა 31 დეკემბერი 2021
შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ (ა)	4,158	–	291
შპს „ბი-თი-ეი ჯორჯია“ (ბ)	422	-	30
შპს „ტავ ჯორჯია ოპერეიშენს“ (გ)	323	(126)	19
შპს „ტავ ურბან საქართველო“ (დ)	11	(197)	(4,756)
TAV Bilisim Hizmetleri A.S. (ე)	-	(428)	(30)
TAV Bilisim Hizmetleri A.S., საქართველოს ფილიალი	1	(162)	(80)
HAVAS Havaalanlari Yer Hizmetleri A.S (ვ)	-	(79)	(15)
Havas Georgia (ვ)	-	(9)	-
„ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ (ზ)	-	(26)	-
„ტავ ჰოლდინგი“ (თ)	-	(642)	(174)
„ტავ ქონსტრაქშენს ჯორჯია“ (ი)	-	(4,337)	-
სულ	**4,915**	**(6,006)**	**4,715**

(ა) შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ ამუშავებს დაუბეგრავი ვაჭრობის მაღაზიას ბათუმის აეროპორტში. „კომპანია“ იღებს საკომისიო მოსაკრებელს დაუბეგრავი გაყიდვებიდან.

(ბ) „კომპანიას“ ქვეკონტრაქტი აქვს გაფორმებული შპს „ბი-თი-ეი ჯორჯიასთან“ გარკვეული საკვები და სასმელი ობიექტების მუშაობაზე, საიდანაც იღებს გაყიდვების მიხედვით საკომისიო მოსაკრებელს.

(გ) შპს „ტავ ჯორჯია ოფერეიშენს“ „კომპანიას“ უწევს საკონსულტაციო და ლაუნჯის მომსახურებას.

(დ) 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა სესხი შპს TAV Urban Georgia-სგან, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს - TAV Havalimanlari Holding-ის შვილობილ კომპანიას. ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 4,744 ლარს. (შენიშვნა 16).

(ე) TAV Bilisim Hizmetleri A.S. და TAV Bilisim Hizmetleri A.S. Georgia კომპანიას აწვდის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მომსახურებასა და მიმდინარე მხარდაჭერას.

(ვ) HAVAS, HAVAS Georgia და Havas Latvia აეროპორტს უწევს სახმელეთო სერვისებს და საკონსულტაციო მომსახურებას.

(ზ) შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“ ფლობს კობუსის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც „შპს ბათუმის აეროპორტი“ იყენებს იჯარის წესით.

(თ) TAV ჰოლდინგი – არის შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს-ის“ დამფუძნებელი და ბათუმის აეროპორტის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე (“Ultimate Controlling Party”).

(ი) შპს „ტავ ქონსთრაქშენ ჯორჯიამ“ „კომპანიას“ გაუწია აეროპორტის გაფართოების სამშენებლო-სარკეონსტრუქციო სამუშაოებს.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობის ანაზღაურება

„კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია 1 პირით. 2022 წელს მისი წლიური ანაზღაურება 274 ლარს შეადგენდა, ხოლო ბონუსები და სხვა გასამრჯელოები 51 ლარს (2021: 226 ლარი და 86 ლარი, შესაბამისად, 1 პირისგან შემდგარი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის). „კომპანიის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სხვა ანაზღაურებას არ იღებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო გადასახდელებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია „კომპანიის“ ოპერაციების დაფინანსება. „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, რომლებიც მისი ოპერაციების შედეგად წარმოიქმნება.

„კომპანიას“ აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. „კომპანია“ დიდი ჯგუფის ნაწილია, ამიტომ მისი ფინანსური რისკების ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება ჯგუფის დონეზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერაციების

შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები, აგრეთვე მესამე მხარეებისგან მიღებული მომსახურებები.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიადგება. „კომპანიას“ საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობიდან, მათ შორის ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე გავლენას ძირითადად ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს. „კომპანიამ“ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თითოეული ახალი კლიენტის გადახდისუნარიანობის გაანალიზება ინდივიდუალურად ხდება, სანამ მოხდება კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების ვადების შეთავაზება. კომპანიის მხრიდან კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება გულისხმობს გარე რეიტინგებსაც, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს. „კომპანიის“ კლიენტების 90%-ზე მეტი მინიმუმ ხუთი წელია, რაც „კომპანიასთან“ თანამშრომლობს და ზარალის შემთხვევა იშვიათად დამდგარა. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიისათვის უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს (შენიშვნა 10).

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც „კომპანიასთან“ უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფული და ფულის ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ანგარიშგების თარიღისთვის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა არის:

	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	2,634	2,377
ფული და ფულის ეკვივალენტები (მე-11 შენიშვნა)	10,605	6,821
	13,239	9,198

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების ზემოქმედება დასრულებული წლის დაბეგრილ მოგებაზე, როცა სხვა ფაქტორები მუდმივია:

	გამყარება	გაუფასურება
2022		
USD (10% ცვლილება)	961	(961)
2021		
USD (10% ცვლილება)	99	(99)

„კომპანია“ სავალუტო რისკს მართავს უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნაშთებით. სავალუტო რისკს ისიც ამცირებს, რომ შემოსავლებთან დაკავშირებული გარიგებების დიდი ნაწილი აშშ დოლარშია.

„კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში დენომინირებული	
	2022	2021
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	9,210	5,673
სავაჭრო მოთხოვნები	1,558	1,180
სავაჭრო გადასახდელები	(1,158)	(1,121)
აღებული სესხები	-	(4,744)
ნეტო პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,610**	**988**

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა თუ „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„კომპანია“ ფულად ნაკადებს ყოველდღიურად იღებს რეგულარული კლიენტებისგან. ეს უზრუნველყოფს „კომპანიისთვის“ საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას, რომ მან თავისი ფინანსური ვალდებულებები დაფაროს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

31 დეკემბერი, 2022	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	621	1,103	-	-	**1,724**	1,724
საიჯარო ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	213	640	2,845	-	**3,698**	2,924
	834	**1,743**	**2,845**	**-**	**5,422**	**4,648**

31 დეკემბერი, 2021	3 თვემდე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წლის ზევით	სულ	საბალანსო ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	716	850	-	-	**1,566**	1,566
საიჯარო ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	217	651	3,332	367	**4,567**	3,441
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი (მე-16 შენიშვნა)	-	-	5,958	-	**5,958**	4,744
	933	**1,501**	**9,290**	**367**	**12,091**	**9,751**

(iv) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის საბაზრო პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც შეფასებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებისა, რომლებიც ფასდება 1-ლი დონით.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის. დაკავშირებულ მხარესთან სესხის აღების მომენტში კომპანიამ გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად სესხის სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

(v) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის პოლიტიკა. ამის მიზანია, საკმარისი დადებითი კაპიტალის ქონა იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას უწყვეტი საწარმოს პრინციპით ოპერაციების გაგრძელება.

20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

2023 წლის 13 თებერვალს,19 აპრილსა და 18 აგვისტოს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,657 ათასი, 8,693 ათასი და 3,080 ათასი ლარის ოდენობით, გადასახადების ჩათვლით გაუნაწილებელი მოგებიდან შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენსზე“ გადასანაწილებლად, როგორც კომპანიის 100% წილის მმართველზე.

შესავალი

ბათუმის აეროპორტი არის "TAV Airports Holding"-ის ჯგუფის წევრი ["Aéroport De Paris" ჯგუფის წევრი], რომელმაც საქართველოში ოპერირება 2007 წელს დაიწყო და განახორციელებს საქმიანობას 2027 წლამდე "საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან" არსებული ხელშეკრულების ფარგლებში.

2020-2021 წლები კომპანიისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა უახლესი ისტორიის მანძილზე. ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში კოვიდ პანდემიისაგან სწორედ სამოქალაქო ავიაცია იყო. თუმცა, წინა წლებში დაგროვილმა გამოცდილებამ, ფინანსურმა მდგრადობამ და მოქნილობამ მმართველობით რგოლში, გამოიწვია ის, რომ კომპანიამ 2022 წელს მოახერხა 2019 წლის (პანდემიამდელი წელი) მოგების 61%-მდე აღდგენა.

იმის მიუხედავად, რომ 2022 წელზე პანდემიურ კრიზისს კვლავ ჰქონდა გავლენა, წინა წლების მსგავსად კომპანიიდან არ მომხდარა თანამშრომელთა გათავისუფლება. ამავდროულად, კომპანია მკაცრად იცავდა უსაფრთხოების ყველა სტანდარტს. პანდემიის პერიოდში შემოღებულმა ხარჯების შემცირების პოლიტიკამ უზრუნველყო საკმარისი მოქნილობა, რაც აუცილებელი იყო პანდემიის უარყოფითი ზემოქმედებისგან დროული და ეფექტური აღდგენისათვის.

კომპანიის შესახებ

მმართველობა

კომპანიის სტრატეგიულ და ბიზნეს გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია კომპანიის გენერალური მენეჯერი. გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხს აგებს გენერალური მენეჯერის მოადგილე და შესაბამისი დეპარტამენტის მენეჯერები.

სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს გენერალური მენეჯეირ უზიარებს და ათანხმებს ორ ავტორიზებულ წარმომადგენელთან, რომლებიც არიან „ტავ ურბან ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერი და გენერლაური მენეჯერის მოადგილე [ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებში].


ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი აწარმოებს ყოველთვიურ ბუღალტრულ და ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც თანხვედრაშია ადგილობრივ საგადასახადო და ფასს სტანდარტებთან. ბუღალტრული მონაცემების დამუშავება და გარდაქმნა ხდება ფასს სტანდარტების მიხედვით შესაბამისი პერსონალის მიერ.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი მოვალეა, უზრუნველყოს, რომ ბუღალტრული და ფასს ანგარიშგებები იყოს ზუსტი და სამართლიანად წარდგენილი შესაბამის ანგარიშებში. საკვანძო საკითხებში, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვანი დაშვებებისა და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებას, ხდება „ტავ ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების ერთეულის ჩართვა და გადაწყვეტილებების კოორდინაცია.

ბიზნესის შესახებ

ბათუმის აეროპორტი არის Tav Holding-ის წარმატებული ბიზნეს მოდელი, რომელიც Build Operate-Transfer-ის მოდელზეა დაფუძნებული, ის მომხმარებელს სთავაზობს ინტეგრირებულ სერვისებს და ქმნის აეროპორტის წარმატებული მართვის პლატფორმას.
კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს სამგზავრო საავიაციო და სახმელეთო მომსახურების სრულ სპექტრს, რომელიც ეფუძნება ხანგრძლივი გამოცდილებისა და ცოდნის კოორდინირებას, რათა მოემსახუროს მომხმარებლებს და საზოგადოებას. კომპანიის მენეჯმენტს მტკიცედ სჯერა, რომ მომხმარებლებისა და პარტნიორების კომფორტი უმთავრესია და ყველა ქმედება ამ ღირებულებების გარშემოა გაერთიანებული.
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი გააჩნია ორი კატეგორიის მომსახურება: საავიაციო და არასაავიაციო. პირველი მოიცავს მგზავრთა გადაყვანას და სახმელეთო საავიაციო მომსახურებებს, ხოლო მეორე წარმოადგენს არასაავიაციო, დამხმარე მომსახურებას.




კომპანიის შემოსავლების 76%-მდე გენერირდება საავიაციო მომსახურებიდან, კონკრეტულად კი ტერმინალის და სახმელეთო მომსახურებით. ტერმინალის სერვისები მოიცავს სამგზავრო მომსახურებას, რომელიც გაწეულია ტერმინალის შენობაში. სახმელეთო სერვისები დაკავშირებულია როგორც თვითმფრინავების, ასევე მგზავრების მომსახურებასთან და ის გაწეულია ასაფრენ ბილიკსა და პლატფორმაზე.

ბიზნეს მოდელი

მგზავრთა მომსახურების საფასური

მგზავრთა მომსახურება მოიცავს მგზავრთა გადაყვანის სრულ ციკლს, ერთი მხრივ მათი რეგისტრაციიდან ჩასხდომამდე და მეორე მხრივ ხომალდის დატოვებიდან პასპორტის კონტროლამდე. სამზგავრო გადასახადი ერიცხება თითეული მგზავრის გადაყვანისთვის და განსხვავებულია საშინაო, საგარეო და ტრანზიტული ფრენებისთვის.

სამგზავრო გადასახადი ირიცხება IATA-ს მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.
გამონაკლისებია:
- 2 წლამდე ასაკის ბავშვები
- ქვეყნის მეთაურები
- საბჭოს წევრები
- დეპორტირებული მგზავრები
- საჰაერო მარშალები
- ჰუმანიტარული დახმარების მისიები
- ტექნიკური დავის შემთხვევები
- გადამისამართებული ფრენები




დაფრენის მოსაკრებელი

დაფრენის მოსაკრებელი ერიცხება საჰაერო ხომალდს, აეროპორტით სარგებლობისას; ის განსხვავებული ოდენობისაა საშინაო და საგარეო ფრენებისთვის და დამოკიდებულია ხომალდის მაქსიმალურ ასაფრენ წონაზე (MTOW). 14 MTOW-ზე მეტის შემთხვევაში მოსაკრებელი იზრდება. დაფრენის მოსაკრებელი დღის დროის მიხედვითაც გასხვავებულია (20:00-06:00 and 18:00-08:00).
გამონაკლისები მოსაკრებლის დარიცხვისგან არის: ავარიული დაშვებები, სადემონსტრაციო ფრენები და ალტერნატიული დაშვებები უამინდობის გამო.

სახმელეთო საავიაციო მომსახურება

სახმელეთო მომსახურეობები მთლიანი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი მოიცავს ყველა სახის გადასახადს, რომელიც გაწეულია თვითმფრინავზე. რამპის მომსახურე პერსონალი ეხმარება თვითმფრინავებს კომფორტულად გადაადგილდნენ ტერმინალის ტერიტორიაზე და უზრუნველყონ მგზავრთა კომფორტი. ტვირთის კონტროლი, ბარგის ტრანსპორტირება, მგზავრების გადაზიდვა და სხვა მომსახურება წარმოდგენილია როგორც სახმელეთო მომსახურება.

არასაავიაციო შემოსავალი



- ATU Duty Free არის duty free სერვისების პროვაიდერი აეროპორტის ტერიტორიაზე. ის გაყიდვების პროპორციულ წილს უხდის ბათუმის აეროპორტს.
- კომპანია, რომელიც ემსახურება აეროპორტს კვების ობიექტებით, არის BTA Georgia, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს კვების ობიექტებთან, ოპერირებს და მართავს საკვებ პუნქტებს აეროპორტში.
- 2022 წელს საკვები ობიექტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 88%-ით ძირითადად პანდემიისგან აღდგენის გამო.

ბათუმის აეროპორტი ასევე იჯარით გასცემს ტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ ფართებს კომერციულ და საოფისე დანიშნულებით. 2022 წლის ბოლოს იჯარით აღებული ფართების რაოდენობამ 55 ერთეულს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ფართების გაქირავებით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 97%-ით, რაც დიდწილად განპირობებული იყო პანდემიის რეგულაციების გაუქმებით.

2022 - ავიაკომპანიები

2022 წელს ბათუმის აეროპორტმა გააფორმა ახალი ხელშეკრულებები 12 ავიაკომპანიასთან:


1. Qeshm Air – თეირანი
2. Iran Aseman Airlines - თეირანი
3. Jordan Aviation -ამანი
4. Ak Air – ნატახტარი
5. Azerbaijan (Buta Airways) -ბაქო
6. Air Baltic – რიგა
7. Uzbekistan Airways -ტაშკენტი
8. Armenia Airways – ერევანი
9. Varesh Airlines -თეირანი
10. Pars Air – რაშტი
11. Smartwings – თელ-ავივი
12. Tbilisi Airways – ერევანი

გარდა ახალი ავიახაზების შემოსვლისა, არსებულმა ოპერატორებმა დაამატეს ახალი მიმართულებებიც. მნიშვნელოვანი დამატებები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა:

დამამი – Flynas
ტალინი – Getjet Airlines


2022 წელი – სტატისტიკა

მგზავრთა და თვითმფრინავთა მოძრაობა



მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელი კვლავ ნაწილობრივ დაზარალდა Covid-ის პანდემიით, მგზავრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეასრულა ბიუჯეტის მაჩვენებლების 87%. წინა წელთან შედარებით, მაჩვენებლები 20%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება საჰაერო ხომალდების რაოდენობას, გადახრები შეესაბამება მგზავრების მაჩვენებლების მოძრაობას. ბიუჯეტის წლიური შესრულება 97%-ია, ხოლო წინა წელთან შედარებით ზრდა 10%-ია. ქვემოთ მოცემულია საჰაერო ტრაფიკის გრაფიკული ანალიზი.



რაც შეეხება ფრენებს ქვეყნების მიხედვით: ყველაზე დიდი კლება [96%] უკრაინას მიეკუთვნებოდა. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა გადაწყვეტილება უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ და რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ამის შემდეგ უკრაინამ დახურა საჰაერო სივრცე სამოქალაქო ფრენებისთვის.

თუმცა, პანდემიის შემდგომი პერიოდის აღდგენის გამო, კლება კომპენსირდება სხვა ქვეყნების ფრენების ზრდით: ისრაელი (89%), საუდის არაბეთი (50%) და თურქეთი (137%). მგზავრების მთლიანმა ზრდამ შეადგინა 20%.

რაც შეეხება სეზონურობას, სურათი არ შეცვლილა. მგზავრთა რაოდენობა გაზაფხულის შემდეგ იწყებს მატებას და პიკს აგვისტოში აღწევს. შემდეგ თანდათან მცირდება წლის ბოლომდე.



2019 წელთან შედარებით, 2022 წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა მოახერხა მგზავრთა რიცხვის 99%-ის აღდგენა და თვითმფრინავების რაოდენობას 1%-ითაც კი გადააჭარბა.

მგზავრთა რაოდენობის ანალიზი


პერიოდი	2019 რეალური	2021 რეალური	2022 რეალური	2023 F (იან. - მაი. რეალური + დაგეგმილი)	2023F/2019A	2022A/2019A	2022A/2021A
საერთაშორისო	**601,085**	**508,552**	**608,673**	**682,915**	**27%**	**3%**	**39%**
გაფრენა	303,232	256,640	310,415	346,084	14%	2%	21%
ჩამოფრენა	297,853	251,912	298,258	336,831	13%	0%	18%
ადგილობრივი	**23,096**	**7,533**	**8,212**	**8,712**	**-124%**	**-128%**	**22%**
გაფრენა	12,967	3,331	4,229	4,436	-66%	-67%	27%
ჩამოფრენა	10,129	4,202	3,983	4,275	-58%	-61%	-5%
Total	**624,181**	**516,085**	**616,885**	**691,627**	**11%**	**-1%**	**20%**

თვითმფრინავების რაოდენობის ანალიზი

2022 წლის ინვესტიციები

2022 წელს კაპიტალური დანახარჯების მოცულობამ გადააჭარბა 2,8 მილიონ ლარს, საიდანაც, როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ვხედავთ, 33% მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობას ეხება, 29% კი საიჯარო ქონების გაუმჯობესებას.

პერიოდი	2019 რეალური	2021 რეალური	2022 რეალური	2023 F (იან. - მაი. რეალური + დაგეგმილი)	2023F/2019A	2022A/2019A	2022A/2021A
საერთაშორისო	**4,784**	**4,702**	**5,028**	**6,098**	**55%**	**10%**	**14%**
გაფრენა	2,392	2,351	2,514	3,049	27%	5%	7%
ჩამოფრენა	2,392	2,351	2,514	3,049	27%	5%	7%
ადგილობრივი	**922**	**510**	**724**	**562**	**-78%**	**-43%**	**84%**
გაფრენა	461	255	362	281	-39%	-21%	42%
ჩამოფრენა	461	255	362	281	-39%	-21%	42%
Total	**5,706**	**5,212**	**5,752**	**6,660**	**17%**	**1%**	**10%**



ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში/CIP

2022 წელს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა განახორციელა Oracle ERP და MIS პროგრამული პროექტები, რომელთა ჯამური ინვესტიცია აღემატება 110 ათას ლარს.

Oracle პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ:

კომპანიამ 2022 წელს დაიწყო Oracle ERP სისტემის დანერგვა, რომლიც წარმატებით ჩაეშვა 2023 წლის იანვრიდან.

საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა მართავს და აღრიცხავს ორგანიზაციის ყოველდღიურ ფინანსურ ტრანზაქციებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების, ხარჯების და შემოსავლების მართვას, დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების ანგარიშებს, ქვეწიგნის აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანალიტიკას. სრული აღრიცხვის სისტემა აკონტროლებს ორგანიზაციის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავლებსა და ხარჯებს. შემდეგ ეს ტრანზაქციები ავსებს მთავარ ბუღალტრულ წიგნს რეალურ დროში, რაც უზრუნველყოფს ფინანსური დირექტორის, ხაზინადარისა და კონტროლიორების დაუყოვნებლივ წვდომას ზუსტ ფინანსურ მონაცემებზე რეალურ დროში. ის ასევე აძლევს საშუალებას P&L-ის პასუხისმგებლობის მფლობელებს, შეამოწმონ თავიანთი შესრულებული სამუშაო ოპერაციულ დონეზე.

ფინანსური ოპერაციების სისტემატური აღრიცხვა იძლევა კვარტლური და წლიური ფინანსური ანგარიშგების წარმოების საშუალებას, მათ შორის საბალანსო უწყისის, მოგება/ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების და აქციონერთა კაპიტალის ანგარიშგების. სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფა არის საწარმოს რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემის ძირითადი კომპონენტი.

ბიზნეს ფუნქციები:
ERP სისტემები აერთიანებს არსებით ბიზნეს ფუნქციებს, როგორებიცაა აღრიცხვა, ფინანსური დაგეგმვა და ანალიზი (FP&A), მიწოდების ჯაჭვი, მარაგების მართვა და შესყიდვები. ეს აპლიკაციები ბუნებრივად ინტეგრირებულია საერთო მომხმარებლის ინტერფეისთან და მონაცემთა მოდელთან, რაც გამორიცხავს სისტემებს შორის გადაადგილების აუცილებლობას ან განცალკევებული მონაცემების ინტეგრირების აუცილებლობას ბიზნესის სხვადასხვა ასპექტების სამართავად.

რატომ Oracle:
აღრიცხვის, ანგარიშგების და პროცესის მენეჯმენტის სინქრონიზაციისა და გაერთიანების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება Oracle ERP პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს კომპანიას უფრო მეტი ინტეგრირება მოახდინოს ჯგუფის სტრუქტურაში და შექმნას უფრო განახლებული, გამძლე ERP ინფრასტრუქტურა, რომელიც აკმაყოფილებს მიმდინარე და მომავალ მიზნებს.

MIS პროექტი

Oracle ERP-ის პარალელურად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა წარმატებით განახორციელა SAP BI პროექტიც.

CMS სისტემა არის მონაცემთა ბაზა, რომელიც ინახავს BI პლატფორმის ინფორმაციას ინფო ობიექტების სახით. ნედლი მონაცემები იწმინდება, ინახება და გამოიყენება ბიზნეს ლოგიკით, რათა სასარგებლო იყოს საწარმოს მომხმარებლებისთვის უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ანგარიშების სახით და შეიძლება იყოს ნაჩვენები ცხრილებით, სქემებით და ა.შ., რაც ეფექტური და ადვილია ანალიზისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

ვინაიდან სტატისტიკური მონაცემები კრიტიკულია საავიაციო ბიზნესისთვის, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა გადაწყვიტა განეხორციელებინა SAP BI პროექტი ოპერატიული სტატისტიკური მონაცემების უკეთ მოპოვების, წარმოდგენისა და ანალიზისთვის.

MIS-ის დაფის გამოყენებით მენეჯმენტი პირდაპირ რეჟიმში აკვირდება ოპერაციების სტატისტიკურ პარამეტრებს.

2022 წელი - თანამშრომლები

ბათუმის აეროპორტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული თანამშრომელი არის ორგანიზაციის ღირებული აქტივი. ჩვენ მზად ვართ, მუდმივად განვავითაროთ და ვიზრუნოთ ჩვენს თანამშრომლებზე. ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი შრომის ადეკვატური ანაზღაურება და პატივისცემა. კომპანია უზრუნველყოფს, რომ თანამშროლებს ეძლეოდეთ თანაბარი შესაძლებლობები და პატივი ვცეთ ბალანსის დაცვას პირადსა და სამსახურეობრივ ცხოვრებას შორის, რაც კომპანიის საკადრო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია.

	ადგილობრივი		უცხელი		სულ	
	2021	2022	2021	2022	2021	2022
იანვარი	154	175	2	1	**156**	**176**
თებერვალი	154	177	2	1	**156**	**178**
მარტი	155	185	1	1	**156**	**186**
აპრილი	155	194	1	1	**156**	**195**
მაისი	154	219	1	1	**155**	**220**
ივნისი	187	242	1	1	**188**	**243**
ივლისი	204	241	1	1	**205**	**242**
აგვისტო	210	243	1	1	**211**	**244**
სექტემბერი	206	243	1	1	**207**	**244**
ოქტომბერი	190	206	1	1	**191**	**207**
ნოემბერი	177	206	1	1	**178**	**207**
დეკემბერი	175	207	1	1	**176**	**208**
საშუალო	**177**	**212**	**1**	**1**	**178**	**213**
გადახრა	**20%**				**19%**	

კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს საბაზისო დაზღვევით. გარდა ამისა, შპს ბათუმის აეროპორტი თანამშრომლებს უწევს კვების მომსახურებას კაფეტერიაში (მთლიანი ხარჯი 2022 წელს 376 ათას ლარზე მეტი იყო). ასევე, 2022 წელიდან კომპანიამ უზრუნველყო თანამშრომლების ტრანსპორტირება (სამსახურიდან სახლში და პირიქით).

თანამშრომლებისთვის ტრენინგები დაგეგმილია კომპანიის სასწავლო ცენტრის უფროსის მიერ, სტანდარტების და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით. ტრენინგებს ამტკიცებს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, რათა დარწმუნდეს, რომ კომპანიის თანამშრომლები გადამზადებულნი არიან განახლებული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად.

2022	2021	
4,460	2,612	ხელფასი
376	249	კვება
41	33	ტრენინგი
23	-	ტრანსპორტირება
195	168	დაზღვევა
82	43	საპენსიო ფონდი
261	192	სხვა
5,438	**3,298**	

კომპანია განუხრელად იცავს ადგილობრივ შრომითი კოდექსის მოთხოვნებს.

რისკები და გამოწვევები

ფინანსური რისკები

როგორც აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში, კომპანია შესაძლოა დადგეს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების წინაშე. რამდენადაც „ბათუმის აეროპორტი“ დიდი ჯგუფის წევრია, რისკების უმეტესი ნაწილი კონტროლდება ჯგუფის დონეზე. კომპანია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გარე საკრედიტო რესურსის გარეშე სრულად საკუთარი ფინანსური რესურსით ოპერირებს. კომპანიის რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერირების უზრუნველყოფა საკმარისი ფინანსური რესურსების გენერირების მიზნით, რომ კომპანიამ შეძლოს მიმდინარე კაპიტალურ ხარჯებისა და საოპერაციო ვალდებულებების მომსახურება.

საკრედიტო რისკი

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა იძლევა კლიენტების ინდივიდუალური და ზოგადი პარამეტრებით შეფასების საშუალებას. კლიენტების უმეტესობას გრძელვადიანი პარტნიორობის ისტორია აქვს, ხოლო ახალ კლიენტებთან დეპოზიტური და საავანსო გადახდის ფორმატია შემუშავებული. პანდემიის გავლენამ 2020 წელს მოთხოვნების დაყოვნების პერიოდი გაზარდა თუმცა ფრენების აღდგენისთანავე, 2022 წელს ის დაუბრუნდა სტანდარტულ მაჩვენებელს.

კომპანია პერმანენტულ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკისადმი ღიაობას, როგორც ეს წარმოდგენილია ფინანსური უწყისების მე-19 შენიშვნის პირველ ქვეპუნქტში.

სავალუტო რისკი

ბათუმის აეროპორტი სავალუტო რისკებს აზღვევს საკმარისი უცხოური ვალუტის ფლობით მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საბანკო ინსტიტუტებში. უმეტესობა კონტრაქტებისა არის აშშ დოლარში. სავალუტო რისკის მუდმივი მონიტორინგი ხდება სენსიტიურობის ანალიზის მეშვეობით.

არაფინანსური რისკები

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძველია.

კონკურენცია

ბათუმის აეროპორტი ქართული ავიაციის ოპერირების ერთ-ერთი ლიდერია მიუხედავად უკანასკნელ წლებში საავიაციო სფეროს სწრაფი განვითარებისა.

ხარისხითა და მომსახურების დონით კომპანიას აქვს რწმენა, რომ ადგილობრივი კონკურენცია არ წარმოადგენს მატერიალურ გამოწვევას. მიუხედავად ქუთაისის აეროპორტის მზარდი პოპულარობისა დაბალ-ბიუჯეტიან მგზავრებს შორის, კომპანია საკუთარ საბაზრო სეგმენტზე საიმედო და ძლიერი მოთამაშეა.

რეპუტაციული რისკები

რეპუტაცია და გუდვილი კომპანიისთვის სტრატეგიული აქტივებია. არსებობს რისკები, რომ ნებისმიერი არასწორი ქმედება და დაუდევრობა, ასევე სტანდარტებისგან გადახვევა, შესაძლოა სერიოზული რეპუტაციული ხიფათის გამომწვევი აღმოჩნდეს. ამდენად კომპანია მუდმივ მონიტორინგს უწევს და აფასებს რეპუტაციულ რისკებს, რათა მაქსიმალურად შეამციროს მათი დადგომის ალბათობა და შესაძლო შედეგები.

ხარისხის მართვა
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის ხარისხის მართვა მისი მმართველობითი საქმიანობის საკვანძო ნაწილია. ხარისხის სტანდარტების დაცვა, მონიტორინგი და გაუმჯობესება ტავ ჯგუფის პრიორიტეტია.

კომპანიის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ხარისხის პოლიტიკის მთავარი პუნქტები:

- მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ძიება მომსახურებასა და მიმდინარე პროცესებში;
- მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთან უმაღლესი ხარისხის სტანდარტის მისაღწევად;
- მომსახურების ეფექტურობის უწყვეტი ზრდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- პერსონლისთვის ტრენინგების ჩატარება ხარისხის მართვის სფეროში.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ბათუმის აეროპორტისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ორგანიზაციის ფარგლებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, რაც ქმნის უკეთეს სამუშაო გარემოს და ხელს უწყობს, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო რისკი თუ პირობები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანამშრომლებისა და მგზავრების ჯანმრთელობას.

კოვიდ-პანდემიის გავრცელებამ მოითხოვა მეტი აქცენტირება აღნიშნული პოლიტიკების სწორად, დროულად და



მოქნილად განხორციელებაზე. სამოქალაქო ავიაციისა და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოს მიერ, აგრეთვე ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნების მიხედვით ყველა შესაბამისი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტი დროულად იქნა დანერგილი.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა პროცედურა, რაც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან, ზუსტად შესრულდა, რათა მგზავრები, სტუმრები და აეროპორტის პერსონალი დაცულნი ყოფილიყვნენ ნებისმიერი უბედური შემთხვევისაგან ან შეცდომისაგან.

მთავარ მიზანს წარმოადგენს სამუშაოს უსაფრთხო, პროდუქტიული და ხარისხიანი შესრულება.

2021 წლის დასრულებული პერიოდიდან მოყოლებული კომპანიას აქვს სავალდებულო პროგრამა, რომელსაც პრაქტიკაში ახორციელებს და ამასთანავე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო, რომელიც დაფუძნებულია ACI და AHA სტანდარტებზე და მასთან სრულ თანხვედრაშია.

სამართლებრივი საფუძვლები

კომპანია ინიციატივებს ახორციელებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით, იქნება ეს ტრენინგები, გადამზადება, ახალი პერსონალის დამატება შესაბამისობის მიმართულებით და სხვ.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც შედგენილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ და ამტკიცებს ადმინისტრაცია, განიხილება, იხვეწება და რეგულირდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრების მიერ. პერსონალი ვალდებულია, მიაღწიონ იმ მიზნებს, რაც პოლიტიკაშია დასახული. ყველა დეპარტამენტს ეკისრება პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურად მიიღოს შესაბამისი ზომები და განახორციელოს საჭირო ღონისძიებები.

საერთაშორისო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისა სტანდარტების მონიტორინგი ხდება მუდმივ რეჟიმში, რათა კომპანია იყოს ახალ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან მუდამ თანხვედრაში.

SkyTrax დაჯილდოება

SkyTrax არის გავლენიანი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია, რომელიც იკვლევს და აფასებს მომსახურების ხარისხს აეროპორტებსა და ავიაკომპანიებში მთელს მსოფლიოში 1999 წლიდან. The World Airport Awards ეფუძნება 550 აეროპორტის შეფასებას 13 მილიონზე მეტი მგზავრის მიერ 106 სხვადასხვა ეროვნების გარშემო, მსოფლიოს მასშტაბით. გამოკითხვის ფარგლებში, მგზავრები აფასებენ აეროპორტის მომსახურებას.

ამსტერდამში გამართულ Skytrax World Airport Awards 2023-ზე, TAV Georgia-ს მიერ მართული ორივე აეროპორტი (თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები) აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო 10 აეროპორტს შორის დასახელდა.
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ამ კატეგორიაში პირველად მოხვდა.
მგზავრთა გამოკითხვის შედეგად ბუდაპეშტის, ტალინის, რიგის, ბუქარესტის, კიევის, ბრატისლავის, ბელგრადის, ზაგრების, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები აღმოსავლეთ ევროპის ათეულში მოხვდნენ.

დაჯილდოებაზე, TAV Airports, Groupe ADP-ის წევრი, ექვსი აეროპორტი მოხვდა საუკეთესო ათეულში. ჯილდოები გამოცხადდა ამსტერდამში სამგზავრო ტერმინალ EXPO-ზე, სადაც შეიკრიბა 10,000-ზე მეტი ინდუსტრიის წარმომადგენელი 130 ქვეყნიდან.

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ბათუმის აეროპორტი მოწოდებულია, ბიზნესსაქმიანობა განახორციელოს ეთიკური და სოციალური ნორმების დაცვით ანუ იმგვარად, რომ რაიმე ზიანი არ მიადგეს გარემოს. გარემოსდაცვით პოლიტიკა დაფუძნებულია ოთხ მთავარ ასპექტზე:

<u>კანონმორჩილება</u> - ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ყველა მოქმედი ადგილობრივი, სახელმწიფო თუ საერთაშირისო სტანდარტი, ასევე, ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ჩვენი აზრით შეესაბამება ჩვენს საქმიანობასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ ასპექტებს. ჩვენ ვნერგავთ და ვახორციელებთ პროგრამებსა და პროცედურებს, რაც ადასტურებს ჩვენს მორჩილებას ამგვარი კანონებისა და სტანდარტების მიმართ. ამასთანავე, ვინარჩუნებთ იმავე მოთხოვნებსა და სტანდარტებს ყველა ჩვენს ბიზნეს პარტნიორსა და კონტრაგენტთან, ვისთანაც გვაქვს ბიზნეს ურთიერთობა.

პრევენცია - კომპანიის სტანდარტია, მანამ მივიღოთ გარემოს დაბინძურების აღმკვეთი ზომები, სანამ საფრთხე რეალური გახდება. ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების დასახვით, რაც აუმჯობესებს გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებელს. ჩვენ ვითვალისწინებთ გარემოს ფაქტორებს დაგეგმვის, შესყიდვების ან გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ინფორმირებულობა - გარემოს დაცვის პოლიტიკას ვაცნობთ პერსონალს, კონტრაქტორებს და მომწოდებლებს, რათა დავარწმუნოთ ისინი, რომ ვზრუნავთ გარემოზე. შესაბამისი ტრეინინგები უტარდება ყველა თანამშრომელს, რათა ისინი მუდმივად იყვნენ ინფორმირებულები იმ პასუხისმგებლობების შესახებ, რაც გვეკისრება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით.

მუდმივი გაუმჯობესება - ჩვენ შევაფასებთ და მუდმივად სრულვყოფთ ჩვენი გარემოს მართვის სისტემის ეფექტურობას პერიოდული აუდიტების და მართვის სისტემის შემოწმების ჩატარებით ასევე, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დასახული მიზნების მიღწევით. გარემოს მართვის პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. სათაო ოფისის მიერ ხდება აღნიშნული პოლიტიკების მუდმივი განახლება და სიახლეების დანერგვა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ჩვენს საქმიანობასა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვოთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

კომპანიის შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის და სავალდებულოა მასზე ხელმოწერილი თანხმობით, არეგულირებს კომპანიის მიერ დანერგილ მიდგომებსა და წესებს ამ მიმართულებით.

დივერსიციკაციის პოლიტიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას და აფასებს განსხვავებებს, რომლებიც მრავალფეროვანმა სამუშაო ძალებმა მოუტანა ორგანიზაციას. კომპანიის როგორც რიგით თანამშრომელთა, ასევე მმართველობითი რგოლის წარმომადგენელთა შემადგენლობა არის მრავალფეროვანი ეთნიკური წამრომადგენლობისა.

ჩვენი კომპანია არის რეგიონალური [TAV Holding] და გლობალური [Group ADP] ბიზნეს ჯგუფების წევრი, სადაც ერთადერთი კრიტერიუმი თანამშრომელთა შესაფერის პოზიციაზე დანიშვნასა და დაწინაურებისთვის არის კომპეტენცია და ცოდნა.

სოციალური და დასაქმების პოლიტიკა

კომპანიის თითოეული თანამშრომელი საკუთარ როლს თამაშობს საერთო წარმატებასა და მგზავრთათვის ხარისხიანი მომსახურეობის მიწოდებაში. თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდნეობა 2022 წელს იყო 211 (2021: 178). კომპანიამ პანდემიის პირობებშიც მაქსიმალურად შეზღუდა თანამშრომელთა დათხოვნა და წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, მიუხედავად ტემრინალის პრაქტიკულად დახურულ რეჟიმში ყოფნისა, ხელფასებს გასცემდა, როოგრც ჩვეულებრივ.

კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს დასაქმების ყველა აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფ,ს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

აეროპორტის ნახშირბადის აკრედიტაცია

2022 წელს, ისტორიაში პირველად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა დაიწყო 2023 წლისთვის აეროპორტის ნახშირბადის აკრედიტაციის მიღების პროცესი. Airport Carbon Accreditation არის ერთადერთი ინსტიტუციურად დამტკიცებული, გლობალური ნახშირბადის მართვის სერტიფიცირების პროგრამა აეროპორტებისთვის. ის დამოუკიდებლად აფასებს და აღიარებს აეროპორტების ძალისხმევას ნახშირბადის გამონაბოლქვის მართვისა და შემცირების მიზნით, სერტიფიცირების 6 დონის მეშვეობით: „რუკა“, „შემცირება“, „ოპტიმიზაცია“, „ნეიტრალიტეტი“, „ტრანსფორმაცია“ და „გადასვლა“.

ამ ეტაპზე, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ცდილობს მიიღოს 1-ლი და მე-2 დონის აკრედიტაცია 2023 წელს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231448200
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.10.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დამოწმებული თარგმნის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	26513912576423

მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 24/1, ვამოწმებ, (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის 00801, გაცემული 1999), მქონე თარჯიმნის ირინე აბულაშვილი-ნიკულსკის (დაბ. 03.01.1978წ. დაბადებულს, მცხ, ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი, N 10, ბინა 65 პირადი: 01005000858), ხელმოწერის ნამდვილობას.მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, 48 (ორმოცდარვა) გვერდზე.

სანოტარო საზღაური - 144.00 (ას ორმოცდაოთხი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და 5(ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 174.92 (ას სამოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო ხოფერია.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18